ვერსია

№26 (1568) 28 ივლისი 3 აგვისტო ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

„სანაიას მკვლელობა საჯაიას ინტერესში შედიოდა“ – 26 ივლისის საიდუმლო

რატომ დაემუქრა ედუარდ შევარდნაძე და ვინ უპირებდა შენობიდან გადმოგდებას – ეროსი კიწმარიშვილის სკანდალური მოგონება

რა საბოტაჟს გეგმავენ „ნაციონალები“ საარჩევნოდ მარნეულში

როგორ „განაცდა“ რამდენიმე დღეში მარნეულის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე

რატომ უნდა სააკაშვილს პარტიაში დამარცხებული ლიდერები



„კახა კალაძის რეიტინგი დღეს საკმაოდ მაღალია და ნიკა მელია, პრაქტიკულად, წინასწარ წაგებულ თამაშში ჩაება“

„ხლისტების“ სექტის სისხლიანი ორგიები

ფიზკულტურის მასწავლებელი, რომელმაც ოთხი მოსწავლე დაიმონა

საკანონმდებლო ცვლილებებით, აკუსტიკური იარაღის – ე.წ. „სტარტოვკის“ გამოყენება მხოლოდ კონკრეტული მიზნით იქნება დასაშვები, მისი ტარება კი აიკრძალება

მიმდინარე წლის 14 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებები დაამტკიცა.

საქართველოს კანონმდებლობაში, აქამდე განსაზღვრული არ იყო აკუსტიკური იარაღის – ე.წ. „სტარტოვკის“ ცნება. როგორც ცნობილია, აკუსტიკური იარაღი არ წარმოადგენს თავდაცვის საშუალებას და მისი ერთადერთი დანიშნულება ფუჭი ტყვიების გასროლა და აკუსტიკური ეფექტის შექმნაა. შესაბამისად, მსგავსი ტიპის იარაღის შეძენა-შენახვა-ტარება და გამოყენება ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის არასრულწლოვანსაც კი, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეეძლო.

ბოლო პერიოდის პრაქტიკის ანალიზმა ცალსახად აჩვენა, რომ კრიმინალურ წრეებში, უფრო და უფრო პოპულარული გახდა აკუსტიკური იარაღის გამოყენება სხვადასხვა მიზნით, მისი დაბალი ფასის, იოლი ხელმისაწვდომობისა და სამართლებრივი რეგულაციების არარსებობის გამო. აღნიშნულს ადასტურებს 112-ში შესული არაერთი შეტყობინება, კერძოდ: 2019 წლის განმავლობაში, მსგავსი იარაღიდან გასროლის შესახებ, 360 შეტყობინება განხორციელდა, 2020 წელს – 500 შეტყობინება, 2021 წლის განმავლობაში უკვე – 150-ზე მეტი შეტყობინება.

საკანონმდებლო ცვლილებებით, საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა ევროკავშირის რეგულაციებს. სწორედ, ევროკავშირის დირექტივის თანახმად, აკუსტიკური იარაღის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ თეატრალურ წარმოდგენებში, ისტორიულ რეკონსტრუქციაში, აღლუმებსა და სპორტულ ღონისძიებებში.

ცვლილებების თანახმად აიკრძალა ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის ტარება. გარდა ამისა, შესაბამისი სამართლებრივი აქტით განისაზღვრა კანონით დადგენილი მიზნით, იარაღის განმუხტულ მდგომარეობაში გადატანა-გადაზიდვის ვალდებულება.

მოცემული რეგულაციების დარღვევისთვის, იარაღის კონფისკაციასთან ერთად, პირს დაეკისრება ჯარიმა – 500 ლარის ოდენობით, ერთი წლის განმავლობაში კანონდარღვევის განმეორებით ჩადენა კი 1000 ლარის ოდენობით დაჯარიმებასა და იარაღის კონფისკაციას გამოიწვევს.

ასევე, ცვლილებების თანახმად, დასახლებულ ადგილას რეგისტრირებული სანადირო ან სპორტული პნევმატური იარაღიდან სროლისთვის, დღეს მოქმედი სანქციები შესაბამისობაში მოვიდა საკანონმდებლო ცვლილებებთან და დასახლებულ პუნქტში გასროლისათვის არსებული ჯარიმა – 200 ლარი, გაიზარდა 500 ლარამდე.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგო აქციის დროს მოძალადე კიდევ ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობით, ძალადობის მუქარით დევნისა და ჯგუფურად ჩადენილ ძალადობის ფაქტებზე, კიდევ ერთი პირი, 1991 წელს დაბადებული გ.გ. დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გ.გ.-მ, მიმდინარე წლის 5 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის მიმდინარეობის დროს, თბილისში, ორგანიზაცია „სირცხვილიას“ ოფისში, ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ოპერატორს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

5-6 ივლისს გამართული აქციების მიმდინარეობის დროს, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ძალადობითა და ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ჯგუფური ძალადობის ფაქტებზე, სულ დაკავებულია 29 პირი, კერძოდ:

- **ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ძალადობის მუქარით, უკანონოდ ხელის შეშლის, ჯგუფური ძალადობისა და ძალადობის მუქარით დევნის ფაქტებზე დაკავდა 25 პირი;**
- **„თბილისი პრაიდის“ ოფისის დარბევისთვის, ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობის, ძალადობით ან ძალადობის მუქარით დევნის, ასევე, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის ჯგუფურად დარღვევის ფაქტზე, დაკავებულია 3 პირი;**
- **ერთი პირი კი პოლიციამ მოქალაქის მიმართ ჩადენილი ძალადობისთვის დააკავა.**

დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა დადგენა-დაკავების მიზნით, გრძელდება საგამოძიებო-ოპერატიული ღონისძიებები.

შინაგან საქმეთა მინისტრი სომხეთის სასაზღვრო ჯარების სარდალს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარების სარდალს, პოლკოვნიკ არმან მარალჩიანს უმასპინძლა.

შეხვედრას შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი, ნიკოლოზ შარაძე ესწრებოდა.

ვიზიტის მიზანია, საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული საკითხების განხილვა და ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება.

შეხვედრაზე მხარეებმა სასაზღვრო სფეროში ურთიერთობის გაღრმავების საკითხებზე ისაუბრეს.

სამეგრელოს პოლიციამ ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის და განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და სამძებრო მოქმედებების შედეგად, 1956 წელს დაბადებული ზ.კ., ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობისა და განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაული 11-დან 14 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, მიმდინარე წლის 23 ივლისს, ქალაქ ზუგდიდში, ტოლსტოის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურთან, ბიზნესწილებთან დაკავშირებით არსებული უთანხმოების გამო, მამა-შვილი – 1959 წელს დაბადებულ გ.ლ. და 1981 წელს დაბადებულ გ.ლ., ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრა. მიღებული დაზიანების შედეგად, 1959 წელს დაბადებული გ.ლ. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა ხოლო, მეორე დაჭრილი მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის მიერ სამედიცინო დაწესებულებაშია გადაყვანილი.

პოლიციამ, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ზ.კ. მომხდარიდან მალევე, ზუგდიდში დააკავა.

დანაშაულის ჩადენის იარაღი – ორი ცალი პისტოლეტი ამოღებულია ნივთმტკიცების სახით.

გამოძიება ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილ განზრახ მკვლელობის მცდელობის და განზრახ მკვლელობის ფაქტებზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 19-109-ე მუხლებით.

პოლიციამ ბათუმში მომხდარი მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული დ.დ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ბათუმში დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 21 ივლისს, ურთიერთშელაპარაკებისას, ბათუმში მდებარე ერთ-ერთი კაფე-ბარის დაცვის თანამშრომელი – 1964 წელს დაბადებული ჯ.ბ., ამავე ობიექტის ტერიტორიაზე, ცივი იარაღის გამოყენებით სასიკვდილოდ დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

„სანაიას მკვლელობა საჯაიას ინტერესში შედიოდა“ – 26 ივლისის საიდუმლო

ნინო დოლიძე

20 წლის წინ, საქართველოში სისხლიანი ივლისი იდგა – 2001 წლის 26 ივლისს, საღამოს, იმხანად ყველაზე რეიტინგული ტელევიზიის ეთერში, სამსიტყვიანი წარწერა გაჩნდა: „გიორგი სანია დაიღუპა!“ გიორგი მაშინდელ საქართველოში ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული ჟურნალისტი იყო, ჟურნალისტი, რომელსაც ყველა ენდობოდა. შესაბამისად, მისი სიკვდილის შესახებ გავრცელებული ცნობა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა.

რატომ დაემუქრა ედუარდ შევარდნაძე და ვინ უპირებდა შენობიდან გადმოგდებას – ეროსი კიწმარიშვილის სკანდალური მოგონება

ჰო, იმ საღამოს, 18.00 საათზე, „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვება ეთერში არ გავიდა. ეკრანზე დიდხანს, ძალიან დიდხანს იყო წარწერა – „გიორგი სანია დაიღუპა!“

რა მოხდა? – ეს იყო კითხვა, რომელიც ნებისმიერ ჩვენგანს აწვალებდა.

მახსოვს, შეურაცხადივით ვრეკავდი კოლეგებთან და ვცდილობდი, გამეგო, რა შეემთხვა გიორგის, მაგრამ... არავინ არაფერი იცოდა.

მერე, როცა „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვება ეთერში გავიდა, გავიგეთ, რომ გიორგი მოკლეს!

რატომ?

ეს კითხვა დღემდე პასუხგაუცემელია.

და მაინც, რა მოხდა 2001 წლის 26 ივლისს, რატომ გაასაღა იმდროინდელმა მმართველმა ელიტამ გავლენიანი ჟურნალისტის სიკვდილი საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილ მკვლელობად და რატომ არ გამოიძიეს შევარდნაძის შემდეგ მოსულმა ხელისუფლებებმა 26 ივლისის ტრაგედია? – ალბათ, მოვა დრო და ამ კითხვებს პასუხი გაეცემა. ალბათ, ის დროც მოვა, როცა გავიგებთ, გრიგოლ ხურცილავა, იგივე „გრიცკო“, რომელიც ჟურნალისტის მკვლელობისთვის დააკავეს, ამ საქმეში ჩათრეული როგორ აღმოჩნდა. ისე, „გრიცკო“ საპატიმროდან 2013 წელს, სასჯელის ამოწურვამდე რამდენიმე თვით ადრე, ამნისტიით გათავისუფლდა.

იმის, რომ ჟურნალისტი ყოფით ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტის მსხვერპლი გახდა, საქართველოში არავის სჯერა. ვინ რა მოიგო გიორგი სანაიას მკვლელობით? – ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი არ არსებობს, თუმცა ფაქტია: გიორგის მკვლელობის შემდეგ, ქუჩაში ათასობით ადამიანი გამოვიდა. ამის შემდეგ, „რუსთავი 2“-ში უშიშროების სამსახური შევიდა, რის გამოც საპროტესტო ტალღა განახლდა და 2001 წლის ნოემბერში, მინი-რევოლუცია ვიხილეთ: ზურაბ ჟვანიამ, შს მაშინდელ მინისტრ კახა თარგამაძეს ულტიმატუმი წაუყენა, თუ გადადგები, თანამდებობას მეც დავტოვებო. თარგამაძემ გამოწვევა მიიღო და... პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი ჟვანიამაც დატოვა.

ზოგიერთი კონსპიროლოგიის თანახმად, თარგამაძე შევარდნაძის ყველაზე ერთგული დასაყრდენი იყო. შესაბამისად, მისი მოშორებით, ცხონებული ამბროსოვიჩი, ერთგვარი ჯავშნის გარეშე დარჩა, მით უმეტეს, რომ მალევე, სიცოცხლე თვითმკვლელობით უშიშროების საბჭოს მდივანმაც დაასრულა. ნუგზარ საჯაია კი შევარდნაძისთვის ნამდვილი „რუხი კარდინალი“ იყო, რომელიც ყველას და ყველაფერს აკონტროლებდა.

მოკლედ, თარგამაძის გადადგომისა და საჯაიას თვითმკვლელობის შემდეგ, მოვლენები ისე განვითარდა, როგორც განვითარდა ანუ 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები ოპოზიციამ, ესე იგი, „ექსმოქკავშირელებმა“ გაყალბებულად გამოაცხადეს და გამოსვლები დაიწყეს. ყველაფერ ამის ავანგარდში მიხეილ სააკაშვილი, აწ განსვენებული ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე იდგნენ.

ერთი სიტყვით, სანაიას მკვლელობის კულმინაციად, შესაძლოა, ის ჩაითვალოს, რომ შევარდნაძე „სახლში წავიდა“.

ამ თემაზე საინტერესო პასაჟები „რუსთავი 2“-ის ყოფილი დამფუძნებლის, ეროსი კიწმარიშვილის მოგონებებშია. სხვათა შორის, ნიშანდობლივია, რომ კიწმარიშვილმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მოგონებებში ეროსი წერს:

„ჩვენს ირგვლივ, რაღაცა მზადდებოდა. 2001 წლის ივლისის დასაწყისისთვის, ერთი მხრივ, ბადრის (პატარკაციშვილი, – რედ.) მხრიდან აქტივობამ პიკს მიაღწია, მეორე მხრივ კი შევარდნაძემ შემოგვიტია. ჩვენს წინააღმდეგ მრავალი კამპანია დაიწყო. გაზაფხულზე საგადასახადო შემოსავლების მინისტრის, მიშა მაჭავარიანის ინიციატივით, ჩვენი ეთერის სარეკლამო ქრონომეტრაჟის მონიტორინგი დაიწყეს: სატელევიზიო რეკლამები უნდა დაეთვალათ და თუ რამე დარღვევას აღმოგვიჩენდნენ, ეკონომიკური სანქციები განეხორციელებინათ. ამის თაობაზე გია არსენიშვილმა მითხრა, რომელიც სახელმწიფო მინისტრი იყო და ძალიან არ მოეწონა, როცა „რუსთავი 2“-ს ასეთი ფორმით შეეხნენ.

იქ კახა თარგამაძე გააქტიურდა. იქ პროკურატურამ დაიწყო „60 წუთის“ წინააღმდეგ გალაშქრება. მანამდე კი უზარმაზარი სკანდალი გადავიტანეთ, კბილებით მოგვიწია გენერალური პროკურორის, ბაბილაშვილისა და მისი მოადგილის, ბალუაშვილის მოგერიება. ბალუაშვილი „60 წუთის“ წამყვანს, აკაკი გოგიჩაიშვილს ქვეყნიდან გაქცევას აიძულებდა და კაკო რამდენიმე დღე-ღამეს ტელეკომპანიის ოფისში ათენებდა.

ყველაფერი ეს აშკარად კამპანიის ხასიათს ატარებდა, საბოლოო მიზნით, ტელევიზია უნდა გაგვეყიდა. კომპანიის დამფუძნებლებმა – მე და დვალმა საფრთხე ვიგრძენით. ერთი მხრივ, იყო პერსპექტივა იმისა, რომ ყველაფერს დავკარგავდით, მეორე მხრივ კი – გაყიდვის შემთხვევაში, არ იყო არანაირი გარანტია, რომ ჩვენს წინააღმდეგ სხვა სქემით არ იმუშავებდნენ. არ გვქონდა გარანტია, რომ მშვიდად ცხოვრების საშუალებას მოგვცემდნენ – ჩვენ წინააღმდეგ აშკარად აგროვდებდნენ, ვითომდა კომპრომატებს და ერთ მშვენიერ დღეს, მათ გამოყენებასაც შეეცდებოდნენ.

სანამ ამაზე ვმსჯელობდით, ბადრის ნდობით აღჭურვილი პირი, ვალოდია ვორონოვი თბილისში ჩამოვიდა და შემოგვთავაზა: მოდით, გავაკეთოთ რაღაც პრე-პრე-შეთანხმება ანუ მოვაწეროთ ხელი ქაღალდს, რომელიც ითვალისწინებს, რომ ჩვენ გვაქვს წინასწარი შეთანხმება ტელევიზიის ყიდვა-გაყიდვაზე და ვიღებთ ვალდებულებას, რომ დისკუსიას გავაგრძელებთ, რათა ჩვენი მოლაპარაკებები უპერსპექტივო არ გამხდარიყო. მე და ჩემი პარტნიორი, დიდი კამათისა და ჩხუბის შემდეგ მოვრიგდით, რომ ვორონოვს დავთანხმებოდით. დვალი ამერიკაში, ძმასთან გაემგზავრა და მე მარტო დავრჩი. მეორე დღეს, საღამოს რვის ნახევარზე, ვაკეში, ბადრისთან უნდა მივსულიყავი და მე და მას, ამ წინასწარ შეთანხმებაზე ხელი მოგვეწერა.

ამ პერიოდში, ვაჟა ფშაველაზე ვცხოვრობდი, მესამე თუ მეოთხე კვარტალში. მახსოვს, საღამოს ექვსი საათი იყო, სახლიდან გასასვლელად ვემზადებოდი - ვორონოვი უკვე მელოდებოდა, მას უნდა შევხვედროდი და უცებ: „რუსთავი 2“-ზე, ჰედლაინის ბადე ირთვება და პაუზის მერე გვეუბნებიან, რომ დღეს, 2001 წლის 26 ივლისს, საკუთარ სახლში მოკლული გიორგი სანაია იპოვეს.

მე სასწრაფოდ დავურეკე ბადრის, ვუთხარი, რომ სანამ არ გაირკვევა, რა მოხდა რეალურად და სანამ ყველა კითხვას პასუხი არ გაეცემა – რის გამო ან ვინ მოკლა სანაია - მანამდე მოლაპარაკება უნდა შევწყვიტოთ. ბადრი უყოყმანოდ დამეთანხმა. ტელევიზიისკენ დავიძარი, გზად დავრეკე – რა ხდება? ტელევიზიაში სრული ისტერიკაა, ჟურნალისტები ტირიან. ვიღაცა მანქანაში ჩავისვი და დავიძარით სანზონისკენ, სადაც გიორგი სანაია ცხოვრობდა.

ჩემთვის გიორგი სანაიას მკვლელობა დღემდე ბურუსით მოცული საკითხია. გიორგი ჩვენთან 1999 წლის ბოლოს გადმოვიდა. მანამდე, მას გაზეთ „რეზონანსიდან“ ვიცნობდი, სადაც კარგ წერილებს აქვეყნებდა. მისი გადმოყვანის სურვილი მეც მქონდა, რადგან ჟურნალისტიკაში ბიჭების ნაკლებობა იყო და მას წარმატებული სატელევიზიო კარიერისთვის ბევრი მონაცემი ჰქონდა: იყო ნიჭიერი და სიმპატიური ახალგაზრდა, ჰქონდა ხმის კარგი ტემბრი, საკმარისი ჟურნალისტური გამოცდილება. თავდაპირველად, სანაია კორესპოდენტად მუშაობდა, შემდეგ მიჰყავდა „ღამის კურიერი“, რომელიც ლეგენდარული გადაცემა გახდა.

მისი მკვლელობა უცნაურად დაემთხვა იმ დღეს, როცა მე ტელევიზიის გაყიდვასთან დაკავშირებით, ხელშეკრულება უნდა გამეფორმებინა. ბუნებრივია, მაშინვე გავიფიქრე, რომ სანაია ამ ხელშეკრულების ჩასაშლელად მოკლეს, დანარჩენი სულ ბოდვითი თეორიები იყო; მათ შორის, ელენე თევდორაძე აქტიურად ავრცელებდა ზღაპარს, თითქოსდა, სანაიას რაღაც ექსკლუზიური ვიდეომასალა ჩაუვარდა ხელში, რის გამოც ის მოკლეს.

დასასრული მე-4 გვერდზე

„სანაიას მკვლელობა საჯაიას ინტერესში შედიოდა“ – 26 ივლისის საიდუმლო

მე-3 გვერდიდან

საქმე ის არის, რომ სანაია არ იყო იმ ტიპის ჟურნალისტი, რომელსაც შეიძლებოდა, რაიმე ექსკლუზიური „ბომბა“ მასალა მოეპოვებინა. მას სტუდიიდან ტელე-დებატები მიჰყავდა და მის მოვალეობაში არც შედიოდა ასეთი ტიპის მასალის მოძიება. მით უმეტეს, სანაია არასოდეს ყოფილა რაიმე რეპორტაჟის მოსამზადებლად პანკისის ხეობაში, სადაც ვითომდა მას ეს კასეტა გადასცეს.

მის მკვლელობასთან დაკავშირებით, ჩემთვის ბევრი რამ უცნობი და გაურკვეველია. ახლაც მხოლოდ აზრს გამოვთქვამ, რომ შესაძლოა, ამ მკვლელობის მიზანი ის იყო, რომ მე „რუსთავი 2“ ბადრი პატარკაციშვილისთვის არ მიმეყიდა. უკვე ვთქვი, რომ საათებიღა რჩებოდა ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე, როცა ტელევიზიით შევიტყვე, რომ გიორგი საკუთარ სახლში მკვდარი იპოვნეს.

იმ პოლიტიკური ჯგუფებიდან, რომელიც ამ შეთანხმების შემდეგ მნიშვნელოვნად დასუსტდებოდა, საჯაიას გუნდი იყო, ხოლო გაძლიერებით ბადრი და მისი მეგობრები – თარგამაძე, ჩხარტიშვილი და ლორთქიფანიძე ძლიერდებოდნენ.

ცნობილია, რომ შევარდნაძე მუდმივად ბალანსირების პოლიტიკას ატარებდა. ამ პერიოდში, ერთი ყურით უშიშროების საბჭოს მდივანს, ნუგზარ საჯაიას უსმენდა, მეორეთი – შინაგან საქმეთა მინისტრ კახა თარგამაძეს და ორივე ჯგუფზე ამომწურავ ინფორმაციას ფლობდა.

„რუსთავი 2“-ის ხელში ჩაგდებით, ბადრის ჯგუფი მის ნება-სურვილზე წარმართავდა ქვეყნის მომავალს. თუ გავითვალისწინებთ მის გავლენებს, ფინანსურ შესაძლებლობებს და ასევე, მის გავლენიან მოკავშირეებს – ეს ძალიან რეალური პერსპექტივა გახლდათ, რომელსაც საჯაიას დაპირისპირებული ჯგუფი ვერანაირ წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდა.

მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ სანაიას მკვლელობა საჯაიას ინტერესში შედიოდა. მან მოწინააღმდეგის კიდევ მეტად გაძლიერება შეაფერხა.

სანაიას მკვლელობის დღეს, ტელევიზია ისტერიკამ მოიცვა. მე რომელიღაც თანამშრომელი მანქანაში ჩავისვი და გიორგის სახლისკენ წავედით. სახლი, სადარბაზო სავსე იყო რიგითი მოქალაქეებით, ჩვენი თანამშრომლებით, იქით პოლიცია და პროკურატურა რაღაცას ფაციფუცობდა და მახსოვს, არავის სჯეროდა, რომ მათი ძალისხმევით, გიორგის მკვლელს დააპატიმრებდნენ. უმრავლესობის აზრით, ისინი პროცესუალურ ვალდებულებებს, ვალის მოხდის მიზნით ახორციელებდნენ. ეს ამაზრზენი მოსასმენია და ამასთან, დამთრგუნველიც, როცა აცნობიერებ, თუ როგორი დაუცველები ვიყავით. ამასთან, არ არსებობდა არანაირი გარანტია იმისა, რომ სანაიას მკვლელობის შემდეგ, ყველაფერი დასრულდა და სხვებს აღარ შეეხებოდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ, შევარდნაძეს შევხვდი. პრეზიდენტი შვებულებაში გადიოდა და სანამ ლიკანში გაემგზავრებოდა, მისმა პრეს-სამსახურის უფროსმა, ვატო აბაშიძემ მასთან შეხვედრა მომიწყო. ამ შეხვედრაზე შევარდნაძეს უნდა დავერწმუნებინე, რომ იგი არაფერს მერჩოდა და სანაიას მკვლელებსა თუ მკვლელს აუცილებლად იპოვნიდნენ, დასჯიდნენ.

შეხვედრის ბოლოს გადავწყვიტე, გამერკვია, იყო თუ არა მის ინტერესში „რუსთავი 2“– ის ბადრისთვის მიყიდვა და ამ შემთხვევაში, რამდენად ვიქნებოდი დაცული.

– ბატონო ედუარდ, 1999 წელს რომ მკითხეთ, რომ შემეძლო თუ არა რუსი ოლიგარქისთვის ტელევიზია მიმეყიდა, აი, ბადრი პატარკაციშვილი მთავაზობს, რომ ტელეკომპანია მას მივყიდო. მეც ვფიქრობ, რომ გავყიდო, მგონი, ასე აჯობებს

შევარდნაძემ გაკვირვებულმა შემომხედა და მკითხა: ტელევიზიას რომ გაყიდი, მერე რას აპირებო?

– ვხედავ, რომ საქართველოში ჩემი ყოფნა არავის უნდა. ჩემი საქმიანობით ბევრს ვაღიზიანებ, საზღვარგარეთ წავალ, ამ პრობლემებს გავერიდები და მიღებული ფულით, რაიმე ახალ საქმეს დავიწყებ.

– არა, შენ ტელევიზიას გაყიდი და ვერსადაც ვერ წახვალ და ფულსაც აქ დატოვებ! – მეუბნება შევარდნაძე.

– რას ბრძანებთ, ბატონო ედუარდ? – ხომ არ მომესმა-მეთქი, გაკვირვებულმა ვკითხე.

– ჰოო, ჰოო, ვერსადაც ვერ წახვალ და ფულსაც აქ დატოვებ, – გამიმეორა პრეზიდენტმა.

უცებ წამოვდექი. კარგად ბრძანდებოდეთ-მეთქი, ცივად ვუთხარი და კარისკენ წამოვედი.

– ცხენი გყაავს? – მეძახის.

– რა ბრძანეთ? – მოვტრიალდი და ვკითხე.

– ცხენი გყაავს შეკაზმული, რომ გამასწრო? – კითხვას მიმეორებს.

– ყველაფერი გასაგებია, ნახვამდის. ვეუბნები და კაბინეტიდან გამოვდივარ. გაბრაზებული ვატო აბაშიძესთან ჩავდივარ. ეგეც, ბერლინის კედლის დამანგრეველი, დიდი დემოკრატი, თეთრი მელა, მემუქრება, რომ ცარიელ-ტარიელს აქ დამტოვებს. ალბათ, დამაპატიმრებს, სხვანაირად ქვეყნიდან როგორ არ უნდა გამიშვას, ვერ წარმომიდგენია. გაცხარებული ვატოს მივეჭერი: შევარდნაძეს გადაეცი, რომ არაფერსაც არ ვყიდი, ბოლომდე ვეომები და არაფერს დავუთმობ – ვეუბნები ფერდაკარგულ აბაშიძეს, რომელიც ჩემს დაწყნარებას ცდილობდა.

ორი დღის შემდეგ, პრეზიდენტის ასევე ლეგენდარულმა დაცვის უფროსმა, სულხან პაპაშვილმა დამირეკა და მითხრა, რომ პრეზიდენტს ჩემთან საუბარი სურდა.

- როგორა ხარ? – მეკითხება შევარდნაძე.

- რა ვიცი, ნელ-ნელა, – ვპასუხობ.

– აი, ახლა ლიკანში ვარ და გიგზავნი ორ ვედრო ოზონს – მეუბნება და ცდილობს დამამშვიდოს, ვითომ არაფერი მომხდარა. მიხვდა, რომ ძალიან დავიძაბე.

მე მტკიცედ გადავწყვიტე ტელევიზია აღარ გამეყიდა, რამაც შინაგან საქმეთა მინისტრი ძალიან გააღიზიანა და ვანო ჩხარტიშვილის აგარაკზე დაიქადნა და მერე შემომითვალა, რომ სანაიას მკვლელობის იარაღს ვიპოვნი და ზედ შენი თითის ანაბეჭდები იქნებაო.

პროკურატურის დაფინანსებულ გაზეთებში შეკვეთილი წერილები იბეჭდებოდა, რომ თითქოსდა სანაიამ ტელევიზიის რაღაც ფინანსური დარღვევები აღმოაჩინა და ამის გამო, ის მე მოვკალი. პარალელურად, თარგამაძე მპირდებოდა, რომ მკვლელობისთვის დამაპატიმრებდა. ქვეყნის პირველი პირიდან დაწყებული, მთელი სახელმწიფო ჩემს წინააღმდეგ მოიმართა. მაიძულებენ, რომ „რუსთავი 2“ აუცილებლად გავყიდო და შემდეგ კიდევ ბუნდოვან მომავალზე დავთანხმდე. მე, რა თქმა უნდა, ამ პერსპექტივას აღარ ვთანხმდები. 29 ოქტომბერს, ტელეკომპანიაში უშიშროების სამინისტროს თანამშრომლები შემოიჭრნენ. ცხადია, თარგამაძემ ჩრდილში დარჩენა ამჯობინა.

მოგვიანებით შევიტყვე, რომ ტელევიზიაში უშიშროების შემოჭრის უმთავრესი მიზანი ჩემი ლიკვიდაცია იყო. მე ჩემი კაბინეტის ფანჯრიდან უნდა გადმოვეგდე, რასაც თვითმკვლელობად გაასაღებდნენ, თითქოსდა, ფინანსური პრობლემების გამო დაპატიმრებას, მეთოთხმეტე სართულიდან გადმოხტომა ვამჯობინე.

საზოგადოების მხრიდან დიდმა მხარდაჭერამ, უშიშროების სამინისტროს წარმომადგენლებს გეგმები აურია. საზოგადოებამ შიშველი ხელებით დაიცვა „რუსთავი 2“ და საპროტესტო ტალღამ პარლამენტის შენობასთან გადაინაცვლა.

საპროტესტო ტალღის მამოძრავებელი ძალა სტუდენტობა აღმოჩნდა, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო, ვინაიდან ასეთი დარაზმული სტუდენტობა, ეროვნული მოძრაობის შემდეგ, პირველად და ჯერჯერობით, უკანასკნელად გამოვიდა ასპარეზზე.

ხალხის საპროტესტო ტალღამ მოვლენების ესკალაცია გამოიწვია და ხელისუფლება კინაღამ დავამხეთ, რისი სურვილიც ნამდვილად არ მქონია“.

* * *

გიორგი სანაიას მკვლელობიდან 20 წელი გავიდა, მაგრამ... 26 ივლისის ტრაგედია ისევ ბურუსითაა მოცული...

რა საბოტაჟს გეგმავენ „ნაციონალები“ საარჩევნოდ მარნეულში

როგორ „განაცდა“ რამდენიმე დღეში მარნეულის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე

ბათო ჯაფარიძე

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, ყველაზე ცხელი წერტილი მარნეული იყო, სადაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან, კენჭს ახმედ იმამყულიევი იყრიდა. პირველ ტურში, იმამყულიევმა „ქართული ოცნების“ კანდიდატი, თამაზ ნავერიანი მცირე უპირატესობით დაამარცხა, მეორე ტურში კი უშანსოდ წააგო. ეს არ იყო მხოლოდ ნავერიანის გამარჯვება, იმ დღეს საღმა აზრმა გაიმარჯვა და ახლავე გეტყვით, რატომ:

მარნეულში ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა ქართულს აშკარად სჭარბობს. მოსახლეობის პროცენტული პროპორცია, დაახლოებით, 85/15-ზეა – აზერბაიჯანელთა სასარგებლოდ. საბედნიეროდ, აზერბაიჯანული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფოებრივად აზროვნებს და ამიტომ, იმამყულიევის სეპარატისტულ მოწოდებებს, რომლებსაც მაშინ აჟღერებდა, არავინ წამოგებია. ტელევიზიები, რომლებიც მას ლამის საპირფარეშოშიც დაჰყვებოდნენ, არ აშუქებდნენ მისი ორი ათეული მომხრის მიერ, ყოველი შეხვედრის დროს, ბოლო ხმაზე დაძახებულ „ბორჩალი, ბორჩალი“-ს, ეს ესმოდათ მხოლოდ „ნაცების“ ლიდერებს, უფრო ზუსტად, იმჟამინდელ ლიდერებს – ბოკერიას, უგულავას... აკი, „ევროპულ საქართველოში“ წაიყვანეს შემდეგ ახმედა.

მაშინ აშკარად გადავრჩით – ნაციონალურ მოძრაობას ნაციონალური შუღლის გაღვივება არ გამოუვიდა. ის, რომ კონკრეტულად აზერბაიჯანელებთან მიმართებაში, პრობლემა ქართველებს არასდროს ჰქონიათ, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ იმავე 2016 წელს, მარნეულის მეორე ოლქში, დეპუტატად რუსლან გაჯიევი აირჩიეს, გარდაბნის ოლქში – სავალან მირზოევი და ახლაც, ოლქების გაერთიანების შემდეგ, მარნეული-გარდაბნის ოლქის მაჟორიტარი, ზაურ დარგალი გახლავთ.

2 ოქტომბერს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებია და ნაციონალურმა მოძრაობამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ გარდაბანში, მერობის კანდიდატად, ისტორიაში პირველად, აზერბაიჯანელი იყრის კენჭს. „ნაცმოს“ ფავორიტი რაფი ორუჯოვია – კაცი, რომელიც ჯერ კიდევ ორი კვირის წინ, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე იყო და ეს პოსტი ზედიზედ მეორედ ეკავა. თითქმის რვა წლის განმავლობაში, ორუჯოვი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი იყო, საკრებულოში რანგით მეორე პოზიციაზე საქმიანობდა და „ნაციონალებს“ ქვეყნის მტრებს ეძახდა. შემდეგ ისე მოხდა, რომ ორუჯოვს უთხრეს, მომავალ არჩევნებში სიაში აღარ იქნები და შესაბამისად, თანამდებობაც არ გექნებაო. მანაც „მარტივი“ გადაწყვეტილება მიიღო – სოციალურ ქსელში წერილი გაავრცელა, ჩემი შეხედულებები „ქართული ოცნების“ შეხედულებებს არ ემთხვევაო და წავიდა.

წასვლიდან ორ საათში, მისი სტატუსი მიხეილ საკაშვილმა გააზიარა, ორ დღეში კი ის კანდიდატად დაასახელეს ტექსტით – „პირველად, გარდაბნის ისტორიაში“...

„ქართულ ოცნებას“ გარდაბანში მერობის კანდიდატი არ დაუსახელებია, თუმცა ყველამ იცის, რომ ის აუცილებლად ქართველი იქნება. ნაციონალური მოძრაობა ამ თემას უკვე აქტიურად იყენებს და აზერბაიჯანელებს აწვეთებს, არ გაბედოთ და ქართველს მხარი არ დაუჭიროთ, აზერბაიჯანელი კანდიდატის გაყვანის შანსი გაქვთ და ის უნდა აირჩიოთო.

არის თუ არა ეს ნაციონალური შუღლის გაღვივების მცდელობა?! – რა თქმა უნდა, არის და მეტსაც გეტყვით – ყველაფერ ამას, სათავეში დიმიტრი შაშკინი უდგას, რომელიც აზერბაიჯანულ სოფლებში პირადად დადის და სწორედ ამ ტექსტით ესაუბრება ადგილობრივებს.

აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში ცეცხლის დანთება მარტივი რომაა, ადრე მარნეულში გამოჩნდა, უფრო ადრე – გარდაბანში, სულ ცოტა ხნის წინ კი – დმანისში. მაშინ ოპოზიციურმა ტელევიზიებმა ცეცხლზე ნავთი დაასხეს, როცა ჯიუტად აცხადებდნენ, კონფლიქტი ადგილობრივ აზერბაიჯანელებსა და ჩამოსულ სვანებს შორის მოხდაო.

სვანებს ქართველებად არ აცხადებდნენ და ქართველს, საკუთარ მიწაზე ჩამოსულს ეძახდნენ. საბედნიეროდ, ამ შემთხვევაშიც საღმა აზრმა გაიმარჯვა და სიტუაცია დამშვიდდა, თუმცა ეს იყო გადასარევი ტესტი ოპოზიციისთვის და მან ზუსტად იცის, რომ ცეცხლის დანთება ნებისმიერ დროს შეიძლება.

ყველასთვის ცხადია, კაცი 8 წლის განმავლობაში რომ ერთ პარტიაშია, მაგრამ ზუსტად ორ დღეში, ოპოზიციური პარტიის კანდიდატი ხდება, თანაც ისეთ მუნიციპალიტეტში, როგორიც გარდაბანია, რეალურად, სხვა რამ არის ჩაფიქრებული. ხმამაღლა და გამოთქმით რომ აცხადებ, ისტორიაში პირველად, აზერბაიჯანელი კანდიდატი გვეყოლება და აბა, თქვენ იცით, ქართველს წააგებინეთო, არის თუ არა ეს სახელმწიფოსა და ქვეყნის ღალატი?

საბედნიეროდ, აზერბაიჯანელთა უმრავლესობა გარდაბანშიც სახელმწიფოებრივად აზროვნებს და დღევანდელი გადმოსახედიდან ისე ჩანს, ორუჯოვს გამარჯვების შანსი არ ექნება, მაგრამ აქ მთავარი ის კი არ არის, რამდენ პროცენტს აიღებს „ნაციონალების“ ჯილა, არამედ ის, რომ პარტია მიდის ყველაფერზე, ოღონდაც კი არჩევნებისთვის, რაც შეიძლება მეტი დაძაბულობის კერა ჰქონდეს.

მარტივ კითხვას დავსვამთ – რაფი ორუჯოვმა არჩევნები რომ მოიგოს, ნაციონალური მოძრაობა ბედნიერი იქნება?!

რატომ უნდა სააკაშვილს პარტიაში დამარცხებული ლიდერები – ვახტანგ ძაბირაძის განმარტებები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ცესკო-ს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატებს პარლამენტში კენჭი 26 ივლისს კიდევ ერთხელ უყარეს, თუმცა კანდიდატებმა საჭირო მხარდაჭერა ვერც ამჯერად მიიღეს. ცესკო-ს თავმჯდომარეობის კანდიდატ გიორგი კალანდარიშვილს 81-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, შვიდმა კი ხმა მის წინააღმდეგ მისცა. საბოლოოდ, კანდიდატი სიითი უმრავლესობით დაინიშნება, თუმცა არა 5 წლის, არამედ, 6 თვის ვადით.
ამასთან, უკვე ცნობილია თბილისის მერობის რამდენიმე კანდიდატი. „ქართულმა ოცნებამ“ ისევ კახა კალაძე წარადგინა. ოპოზიციის ერთმა ნაწილმა კი – ნიკა მელია, რომელსაც სრული ოპოზიციური სპექტრი მხარს არ უჭერს. მიმდინარე პოლიტიკურ თემებზე „ვერსია“ პოლიტიკის ექსპერტ ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა:

– თუ გვინდა, რომ ეს დაპირისპირება რამენაირად დასრულდეს, უნდა შეიცვალოს ცესკო-ს თავმჯდომარის კანიდიდატურის შერჩევის მეთოდი და ისეთი იყოს, რომელიც მისაღები იქნება, პირველ რიგში, ოპოზიციისთვის. თუ არადა, წყლის ნაყვაა და მხარეები მაინც პოლარულად დარჩებიან. ჯგუფში, რომელმაც კანდიდატები უნდა წარადგინოს, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, არიან სპეციალისტები სამეცნიერო წრეებიდან და ა.შ. ქვორუმი ისეთი იყო, რომ არასამთავრობოები, რომლებიც მეტ-ნაკლებად სარგებლობენ ხალხის მხარდაჭერით, ამ კანდიდატების წინააღმდეგ იყვნენ, სანამ პრეზიდენტს წარუდგენდნენ.

ამას ისიც ემატება, რომ მთავრობა ისეთ კომისიას ქმნის, რომელიც, აპრიორი, ხელისუფლებისთვის მისაღებ კანდიდატებს დაუჭერს მხარს. ასე რომ, მთლიანად ეს პროცედურა არამომგებიანია, არ უწყობს ხელს შერიგებას და დაპირისპირების დასრულებას.

შეთანხმება და კონსულტაციები კანდიდატურის წარდგენისას უნდა მომხდარიყო პოლიტიკურ ძალებს შორის, ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკური ძალები იღებენ არჩევნებში მონაწილეობას. სხვა მხრივ კი, ასე წავა ეს პროცესი – 76 ხმით, 6-თვიანი ვადით დაამტკიცებენ ახალ თავმჯდომარეს, მაგრამ ამაში ოპოზიცია არ მიიღებს მონაწილეობას და ისევ გამოვა, რომ ცესკო-ს თავმჯდომარე დანიშნა უმრავლესობამ.

უმრავლესობა ამბობს, რომ ამ კანდიდატს უმწიკვლო კარიერა ჰქონდა ცესკო-ში მუშაობისას (არც ვიცნობ და წარმოდგენაც არ მაქვს, ვინაა) და თუ მართლაც ასეა, საერთოდ აღარ უნდა გააკარო ცესკო-ს, არათუ თავმჯდომარედ აირჩიო იმიტომ, რომ ვინც 1995 წლიდან დღემდე ცესკო-შია ნამუშევარი, აღარ უნდა იმუშაოს, რადგან მუდმივად ყალბდებოდა არჩევნები და ცესკო იყო ამ სიყალბის დამადასტურებელი.

იქ თუ უმწიკვლო კარიერა გქონდა, ესე იგი, ჩუმად იყავი, ხელს აწერდი ყველაფერს და ჩვენ, სწორედ ასეთი რამ არ გვინდა. ამიტომ, ეს შეთანხმება ვერ და არც მოხდება.

მეორე მხრივ, ოპოზიციის გარკვეულ ძალებს სულაც არ აწყობთ მონაწილეობა ამ პროცედურაში და სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ხელისუფლებას იძულებული უნდა გაეხადა ოპოზიცია, პროცესში ჩართულიყო, მაგრამ პირიქით გამოდის. ხელისუფლებას სურს, ცესკო-ს თავმჯდომარე იყოს ის, ვისაც ის დაუჭერს მხარს. ასე რომ, ოპოზიცია, რა თქმა უნდა, ეცდება, არ მიიღოს მონაწილეობა ამ პროცესში იმიტომ, რომ შემდეგ ადვილად თქვას, ცესკო-ს თავმჯდომარე დანიშნა ხელისუფლებამ და არჩევნებს, რა თქმა უნდა, გააყალბებსო.

„კახა კალაძის რეიტინგი დღეს საკმაოდ მაღალია და ნიკა მელია, პრაქტიკულად, წინასწარ წაგებულ თამაშში ჩაება“

– თუ ახლა, საპარლამენტო უმრავლესობამ დაამტკიცა ცესკო-ს თავმჯდომარე, გამოდის, რომ თამარ ჟვანიას გადადგომას აზრი არ ჰქონია, არა?

– კი, მშვენიერი სქემაა, 6 თვის შემდეგ, ისევ 6 თვით დაამტკიცებენ და იქნება ასე... ამდენად, ჟვანიას გადადგომა გამოდგა „ფუჭი გასროლა“, მაგრამ ეს პიარის ის ნაწილია, რომელიც დასავლეთისთვისაა გათვლილი.

– ბატონო ვახტანგ, ოპოზიციის ერთი ნაწილის მიერ, თბილისის მერად წარდგენილ კანდიდატს, ნიკა მელიას სრული ოპოზიციური მხარდაჭერა არ აქვს ანუ არჩევნებისთვის, რომელიც გადაწყვეტს ქვეყანაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ბედს, ოპოზიცია ვერ გაერთიანდა ერთი კანდიდატის გარშემო. ეს სწორი გადაწყვეტილებაა?

– ოპოზიციას მთავარი საკითხი უნდა გადაეწყვიტა – იბრძვის ადგილობრივ არჩევნებში უპირატესობის მოსაპოვებლად, თუ მისი მთავარი მიზანი რიგგარეშე არჩევნებია. თუ რიგგარეშე არჩევნებია სამიზნე და ის, რომ 43% ვერ აიღოს „ოცნებამ“, მაშინ მელიას არ უნდა მიეღო მერის არჩევნებში მონაწილეობა.

ოპოზიციის ეს „ლიდერშიფი“ მთლიანად იმაზე უნდა

გადართულიყო, რომ პროპორციულ არჩევნებში, „ქართულ ოცნებას“ 43% არ მიეღო.

ჩემი აზრით, ოპოზიციას არ აქვს იმის რესურსი, რომ იბრძოლოს ორ ფრონტზე, ამიტომ არჩევანი უნდა გაეკეთებინა. დღეს, მელია ყველაზე რეიტინგული ფიგურაა ოპოზიციაში, თუ მას თბილისს მიაბამ, რეგიონებში მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულამდე დავა და ეს იმ შემთხვევაში, თუ საუბარია ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლაზე. თუმცა, არ მიმაჩნია, რომ ყველაფერი ეს, მხოლოდ არჩევნებს უკავშირდება, შეიძლება, ვიღაცებს გათვლა არჩევნების შემდგომ პერიოდზე ჰქონდათ.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რაც ნოემბრის არჩევნების შემდეგ გაკეთდა. ასეთი ვერსიაც შეიძლება არსებობდეს, რომ არჩევნების შედეგებს კი არ ჰქონდეს მნიშვნელობა, არამედ, იმას, თუ რას ვიტყვით – გაყალბდა თუ არა არჩევნები. თუ გაყალბდა, ესე იგი, ისევ თავიდან ვიწყებთ იმავე სცენარის დატრიალებას.

– ბოიკოტს გულისხმობთ?

– დიახ, ბოიკოტს, პერმანენტულ აქციებს და ასე შემდეგ, ხელისუფლების იძულებას, რომ ჩაატაროს რიგგარეშე არჩევნები. სრულიად განსხვავებული რამ იქნება, თუ ქუჩის მოთხოვნას დაჰყვება ხელისუფლება და ჩაატარებს რიგგარეშე არჩევნებს. ამ შემთხვევაში, ხელისუფლებას წაგებული ექნება ეს თამაში, რაც არაერთხელ ვნახეთ კომუნისტების, შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს.

მოკლედ, თუ ოპოზიცია ფიქრობს, რომ არჩევნებში უნდა „იჭიდაოს“, მაგრამ მნიშვნელოვანია არა არჩევნების შედეგები, არამედ ის, რომ არჩევნების შემდეგ ითქვას, ყველაფერი გაყალბდაო, მაშინ სწორია, თბილისის მერობის კანდიდატი მელია უნდა იყოს, რადგან ის საპროტესტო ტალღის ლიდერად მოიაზრება.

რეალობა თბილისში ასეთია – კახა კალაძის რეიტინგი დღეს საკმაოდ მაღალია. ის არ არის მხოლოდ „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი და რაც მთავარია, მას საკმარისი მხარდამჭერები სწორედ ახალგაზრდებში ჰყავს. ამიტომ, ფაქტობრივად, წინასწარ წაგებულ თამაშში ნიკა მელიას ჩაბმა, სხვას, რას უნდა ნიშნავდეს? რატომ უნდა უნდოდეს ეს, ნაციონალურ მოძრაობას?

არის კიდევ ერთი ვარიანტი, რომ სააკაშვილს თავის გუნდში, მაინცდამაინც, არ უნდა გამარჯვებული ლიდერები...

– ისე, ამომრჩეველზე როგორ იმოქმედებს, რომ მრავალთვიანი ბოიკოტის შემდეგ, ამ გადამწყვეტ არჩევნებში, ოპოზიციამ გაერთიანება ვერ მოახერხა?

– ყველაზე რეიტინგული მელიაა და მოგვწონს თუ არა, ყველაზე ძლიერი ოპოზიციური პარტია არის ნაციონალური მოძრაობა. არც მელიას და არც ნაციონალურ მოძრაობას არ აქვს იმის რესურსი, რომ ოპოზიციური ამომრჩეველი გააერთიანოს. ოპოზიციური ლიდერები, შეიძლება, ყველაფერზე შეთანხმდნენ, მაგრამ ამომრჩეველი ამაში არ მიიღებს მონაწილეობას და როცა „ქართული ოცნების“ და ნაციონალური მოძრაობის დაპირისპირებამდე მიდის საქმე, ის ამომრჩეველიც კი, ვინც „ოცნებას“ მხარს არ უჭერს, ისევ მისკენ იხრება და არა – ნაციონალური მოძრაობისკენ.

პირველ რიგში, ეს თავად „ნაციონალებს“ უნდა გაეანალიზებინათ, რატომ ხდება ასე.

არაადეკვატურობის ბოლო საზოგადოებრივი გამოვლინება იყო ჟურნალისტების განცხადება, რომ იწყებენ საპროტესტო აქციებს და არ დაამთავრებენ, სანამ ხელისუფლება არ გადადგება. რამდენადაც ვიცი, ეს აქციები აღარაა, ხელისუფლება კი ისევ არის. საიდან უჩნდებათ იმის განცდა, რომ საზოგადოება აჰყვება ამ ტალღას, უბრალოდ, არ მესმის.

– თქვენი აზრით, ეს აქციები რატომ შეწყდა?

– იმიტომ, რომ ამაში მონაწილეობას მიიღებს აქტივის მხოლოდ პატარა ნაწილი. 9 წელია, ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, ქუჩა ააგოროს, მაგრამ ვერ ახერხებს, ვერ გამოჰყავს ხალხი და ამას გაანალიზება უნდა.

– ბატონო ვახტანგ, მედიას არ აქვს უფლება, რაღაც გააპროტესტოს?

– კი, რა თქმა უნდა, უნდა გააპროტესტოს. საშინელება იყო, რაც მოხდა 5 ივლისს, მაგრამ ზეწოლის ფორმები უნდა შეარჩიონ და რესურსიც იცოდნენ. როცა აცხადებენ, რომ იქნება პერმანენტული აქციები, უნდა იცოდნენ, ამის თავი აქვთ თუ არა. თუ არ აქვთ, ეს არ უნდა თქვან, რადგან ეს უკუშედეგს იწვევს. მედიისგან მთავრობის გადადგომის მოთხოვნის მსგავსი, მსოფლიოში არსებობს თუ არა, არც კი ვიცი. ნაცვლად იმისა, რომ მედია აქტიურად ჩართულიყო იმ საგამოძიებო პროცესში, რაც ახლა მიდის, იდენტიფიცირებაში, ზეწოლა ასე უნდა განეხორციელებინა ხელისუფლებაზე – არ მიეცა ამოსუნთქვის საშუალება და გათვლა უნდა ყოფილიყო არა იმაზე, რომ ღარიბაშვილი გადადგეს... ხელისუფლების ყველა შეცვლის დროს, იმდროინდელმა ოპოზიციამ შეძლო გაეერთიანებინა მთელი ოპოზიციური ელექტორატი და სანამ ოპოზიცია ვერ შექმნის ისეთ გუნდს, რომელიც ამას შეძლებს, ყოველგვარი მცდელობა, რომ ქუჩის ზეწოლით შეცვალონ ხელისუფლება, არის ფუჭი.

მაია მიშელაძე
593-51-90-12

კოვიდრეგულაციების შემსუბუქების შემდეგ, საქართველოში არაბი ტურისტების ბუმია

მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, კოვიდრეგულაციები შემსუბუქდა, ეკონომიკა გამოცოცხლდა. ეს პროცესი ტურიზმის ინდუსტრიასაც დაეტყო, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ტურისტული სეზონი ამოიქოქა და სასტუმროები, რესტორნები თუ კაფე-ბარები ამუშავდნენ. მართალია, ტურიზმის სექტორი პანდემიამდე ანუ 2019 წლის პერიოდს ჯერ ვერ გაუთანაბრდა, მაგრამ პოზიტიური ტენდენციები მაინც იგრძნობა. ქვეყანაში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა გაიზარდა და შედეგად, ივლისში, ტურისტული სექტორი 2019 წლამდე პერიოდს 65%-ით დაუახლოვდა. რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია, მაგრამ საკმარისი არაა. აღორძინების პროცესს ხელს საზოგადოების მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და სოციალური პასუხისმგებლობის დაბალი დონეც უშლის – სიტუაციის გამოსწორების ერთადერთი გზა ვაქცინაციაა, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეები აუცილებლად უნდა აიცრან! „ვერსია“ საქართველოს სასტუმროებისა და რესტორნების ფედერაციის დამფუძნებელ შალვა ალავერდაშვილს ესაუბრა.

შალვა ალავერდაშვილი: „ერთი აცრილი ადამიანი ორ შემოსულ ტურისტს უდრის!“

– შალვა, რა დადებითი ტენდენციები მოჰყვა კოვიდრეგულაციების შერბილებას ტურიზმის სექტორში?

– ივლისში, საშუალოდ, 65%-ით დავუბრუნდით პანდემიამდე ანუ 2019 წლის პერიოდს. საკმაოდ კარგი ტემპი გვაქვს, მაგრამ იმის გამო, რომ ვაქცინაციის აუცილებლობა ვერ შევიგნეთ და ქვეყანა კვლავ წითელ ზონაში გადავიდა, 30 ივლისიდან, ისრაელი საქართველოს სრულად ჩაკეტავს. ეს ნიშნავს, რომ საქართველოსთან ფრენებს შეწყვეტს, რაც ძალიან ცუდი მესიჯია დანარჩენი მსოფლიოსთვის. აქედან გამომდინარე, რაც შეიძლება დროულად და მალე ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქე ვაქცინირებული უნდა იყოს. რეალურად, მთელი მსოფლიო ვაქცინაციის პროცესს და სტატისტიკას ადევნებს თვალ-ყურს, აკვირდება, რას აკეთებს ესა თუ ის ქვეყანა.

გადავხედოთ საქართველოს სტატისტიკას ტურისტულ სექტორში – ივნისში, 40%-ით დავეწიეთ 2019 წლის მაჩვენებლებს, ხოლო ივლისში – 65%-ით. სამწუხაროდ, აგვისტოში პოზიტიურ შედეგს ვეღარ გავიმეორებთ, მაგრამ გამოსავალი არსებობს – რაც უფრო დაჩქარდება ვაქცინაცია ქვეყანაში, მით უფრო სწრაფად აღდგება ტურიზმი.

– სხვათა შორის, ანტივაქსერების გააქტიურების მიუხედავად, ხალხს უნდა ვაქცინაცია და აქტიურად რეგისტრირდება კიდეც. მეტიც, საიტიც კი გაიჭედა...

– გასაგებია, მაგრამ ყველაფერი აღრიცხვა და ციფრებია. კი, ბატონო, რეგისტრირდება, მაგრამ რასაც ახლა ვაკეთებთ ან გავაკეთებთ, ეს მერე გამოჩნდება. ამ ეტაპზე, საქართველოს მდგომარეობას რომ დავხედოთ მსოფლიო რუკაზე, წითელ ზონაში ვართ, რაც ტურიზმის სწრაფ აღდგენას ხელს უშლის. შესაბამისად, რაც უფრო დროულად აიცრება მოსახლეობა, მით უფრო დროულად გადავალთ სხვა ზონაში და მით უფრო სწრაფად შემოვლენ ტურისტები. მოდით, პირდაპირ ვთქვათ – ერთი აცრილი ადამიანი, ხუთ კაც-ღამეს ანუ ორ შემოსულ ტურისტს უდრის! ამიტომ, კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მოსახლეობას, რაც შეიძლება, დროულად აიცრან.

– რეგულაციების შერბილებას მოსახლეობის გარკვეული ნაწილის უპასუხისმგებლობაც მოჰყვა, განსაკუთრებით, აჭარაში... სინამდვილეში, რა ხდება?

– ვერ გეტყვით, თუმცა კიდევ ერთხელ განვმეორდები და მოსახლეობას მოვუწოდებ, რომ ვაქცინაცია აუცილებელია. გიმეორებთ: ყოველი აცრილი ადამიანი ქვეყანაში შემოსულ 5 კაც-ღამეს უდრის, 3 მილიონი ვართ და თუ ყველა ავიცრებით, ეს 15 მილიონ კაც-ღამეს ნიშნავს, 15 მილიონი კაც-ღამე, სავარაუდოდ, 2 მილიონი ტურისტია, რადგან რეალურად, ტურისტი ჩვენთან 4-5 დღით ჩერდება. 2 მილიონი ტურისტი რომ დავაბრუნოთ ქვეყანაში, ძალიან მაგარი იქნება.

– ინტერვიუს დასაწყისში მითხარით, რომ ისრაელი 30 ივლისიდან საქართველოს მიმართულებით ფრენებს წყვეტს. ამის გამო, სხვა ქვეყნებიდან ხომ არ გაუქმდა ჯავშნები საქართველოში?

– დიახ, ჯავშნებთან დაკავშირებით სერიოზული დარტყმა მივიღეთ ისრაელიდან. ჯავშნები საერთოდ გაუქმდა და ისრაელის ეს გადაწყვეტილება სხვა ქვეყნებსაც გადაეცა. მიზეზი მარტივია: ისრაელში ვაქცინაცია წარმატებით განხორციელდა და როცა ასეთი ქვეყანა საქართველოს საშიშ ქვეყნად მიიჩნევს, თქვენც რომ ტურისტი იყოთ, ნამდვილად არ გარისკავდით ასეთ ქვეყანაში წასვლას. თუ აცრილი ხალხი თვლის, რომ საშიშია იმ ქვეყანაში წასვლა, ალბათ, მართლაც საშიშია – აი, ასე ფიქრობენ სხვა ქვეყნებიც. შესაბამისად, სწორედ ამ პერიოდში გააუქმეს ჯავშნები სხვა ქვეყნებმაც.

– რომელმა ქვეყნებმა, შალვა?

– ამას ვერ გეტყვით, მაგრამ სამაგიეროდ, შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში შემოსული ტურისტების რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზე არაბული ქვეყნები არიან. ამ ეტაპზე, არაბები ლიდერობენ, მათ შორის, დუბაი, დოჰა და სხვა ქვეყნები. არაბული ქვეყნებიდან ბევრი ტურისტი გვყავს, რაც ძალიან კარგია, თუმცა ყველაფერ ამას გაფრთხილება უნდა. სამწუხაროა ის, რომ სხვა ქვეყნებიდან თითზე ჩამოსათვლელი ტურისტები გვყავს და ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს.

– კოვიდრეგულაციების შერბილებით დავიწყეთ და ამავე თემით დავასრულებ, პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ რეგულაციების შემსუბუქებას ეკონომიკის, განსაკუთრებით ტურიზმის გამოცოცხლება მოჰყვა და თუ ასე გაგრძელდება, წლის ბოლოს, ეკონომიკის ორნიშნა ზრდას უნდა ველოდოთ.

– ეკონომიკას ზოგად ჭრილში ვერ განვიხილავ, მაგრამ იმას კი ნამდვილად დაგიდასტურებთ, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში, ტურიზმი ძალიან სწრაფი ტემპებით აღდგა. რა თქმა უნდა, ეს კოვიდრეგულაციების შერბილებას უკავშირდება, რაც ძალიან კარგია და ყველას გვახარებს, თუმცა საშიშროება არსებობს, რასაც ამ ეტაპზე, ვერ გავექცევით.

P.S. ისტრაელმა საქართველოს „წითელ ზონაში“ შეყვანა გადადო. ეს ინფორმაცია 27 ივლისს, დღის ბოლოს გავრცელდა.

რა სიმპტომებით ვლინდება და რა გართულებებს იწვევს „დელტა“ შტამი ბავშვებში

პედიატრის რჩევები მშობლებს

ია გრიგალაშვილი

კორონავირუსის „დელტა“ შტამი მსოფლიოში უკვე ფართოდ გავრცელდა. ევროპის დაავადებათა კონტროლის ცენტრის პროგნოზით, კონტინენტზე, აგვისტოსთვის, „დელტა“ შტამი, პრაქტიკულად, „ალფას“ ანუ ბრიტანულ შტამს ჩაანაცვლებს და 90%-ით იქნება წარმოდგენილი. ყველაზე სამწუხარო კი ისაა, რომ „დელტა“ შტამი ბავშვებში ძალიან სწრაფად ვრცელდება. რამდენიმე დღის წინ, ციციშვილის სახელობის კლინიკაში, კორონავირუსით ორი ჩვილი გარდაიცვალა. ინფიცირების მატების გამო, საავადმყოფოები მაქსიმალური დატვირთვით მუშაობენ და საწოლების რაოდენობა შევსებულია.

როგორ მიმდინარეობს „დელტა“ შტამი ბავშვებში, რა უნდა გაითვალისწინონ მშობლებმა და როგორ დავიცვათ ბავშვები ვირუსის ამ ვერაგი შტამისგან? – ქართული საინფორმაციო სააგენტო „ჰოთნიუსი“ მედიცინის დოქტორს, პედიატრ თამარ ობგაიძეს ესაუბრა:

– ქალბატონო თამარ, პირველ რიგში, გკითხავთ, როგორ დავიცვათ ბავშვი კორონავირუსისგან?

– პირველი, რაც უნდა გვახსოვდეს და ხშირად ვიმეორებთ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში, ეს ჰიგიენური ღონისძიებებია – ასწავლეთ პატარებს ხელების ხშირად დაბანა და თუ ხელის დაბანის საშუალება არაა, მაშინ სადეზინფექციო ხსნარების გამოყენება. არ დაგავიწყდეთ, რომ ბავშვებს მაგალითი თავად მისცეთ. ამასთან, ასწავლეთ დისტანციის დაცვა და აუხსენით მისი მნიშვნელობა. თუ გახსოვთ, წინა ტალღების დროს, ნიღაბი ადრეული ასაკის პატარებისთვის არ იყო რეკომენდირებული. ახლა კი, აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრი და აშშ-ს პედიატრიის აკადემია რეკომენდაციას უწევს ნიღბის ტარებას დახურულ სივრცეებში, 2 წლის ასაკიდან.

აშშ და ევროპის ქვეყნები COVID-19-ის საწინააღმეგო ვაქცინაციას 12 წლის ასაკიდან იწყებენ და ამისათვის ავტორიზაცია, ჯერჯერობით, მხოლოდ Pfizer-ის ვაქცინა Comirnaty-ს აქვს. ჩვენთან, ამავე ვაქცინით მოზარდების ვაქცინაცია დაშვებულია 16 წლის ასაკიდან. სამწუხაროდ, პროფილაქტიკის ჩამოთვლილ მეთოდებზე უფრო ეფექტური საშუალება ჯერ არ არსებობს.

– რა სიმპტომებით ვლინდება „დელტა შტამი“ ბავშვებში?

– ბავშვებში „დელტა“ ვირუსით გამოწვეული დაავადების მთავარი ნიშნებია თავისა და ყელის ტკივილი, ცხვირიდან გამონადენი და ცხელება. შეიძლება გამოიხატოს ზოგადი ინტოქსიკაციის სურათი. ამ ფონზე, გართულების განვითარება ყველა შემთხვევაში არ ხდება. უხშირესად, ეს დაავადება მსუბუქად ან ზომიერი სიმძიმით მიმდინარეობს და მისი მართვა, პედიატრის მეთვალყურეობით, სახლის პირობებშიც შეიძლება.

– თუ ბავშვს მარტივ ფორმებში გადააქვს ვირუსი სახლის პირობებში, ამ შემთხვევაში, ყურადღება რას უნდა მივაქციოთ?

– აუცილებელად დააკვირდით ცხელებას და მართეთ სიცხის დამწევი პრეპარატებით, მიეცით ბავშვს სითხეები და რაც მთავარია, დათვალეთ სუნთქვის სიხშირე მოსვენებულ მდგომარეობაში. სუნთქვის გახშირება ფილტვის ანთების ერთ-ერთი მთავარი ნიშანია. გახსოვდეთ, რომ 1 წუთის მანძილზე, 0-2 თვემდე ასაკის ბავშვის სუნთქვის სიხშირე არ უნდა იყოს 60 და მეტი, 2 თვიდან 1 წლამდე ასაკში – 50 და მეტი. 1-5 წლამდე – 40 და მეტი, 5 წლის ასაკის ზემოთ – 30 და მეტი. სუნთქვის გახშირებისას, დაუყოვნებლად საავადმყოფოს უნდა მიმართოთ!

– რა საკვები უნდა მიიღოს კოვიდინფიცირებულმა ბავშვმა, რათა იმუნიტეტი მალე აღიდგინოს?

– შეზღუდვები კვების მხრივ, COVID-19-ის დროს არ არსებობს. საკვებ რაციონში უნდა იყოს ხილი, ბოსტნეული, ბურღულეული, რაც ვიტამინებისა და საჭირო მინერალების აუცილებელი წყაროა. ბავშვს მიეცით რძის პროდუქტები, ხორცი, კვერცხი, როგორც ცილის, ასევე, კალციუმის, სხვა მინერალებისა და ვიტამინების წყარო. სრულფასოვან კვებას უდიდესი გავლენა აქვს ორგანიზმში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების, მათ შორის, იმუნური რეაქციების მიმდინარეობაზე.

– რა სახის გვერდითი მოვლენები შეიძლება დაუტოვოს ბავშვს კორონავირუსმა?

– კოვიდის გადატანის შემდეგ, ბავშვებს ხშირად არ აღენიშნებათ რაიმე ნარჩენი მოვლენები, თუმცა არის სისუსტის, უმადობის შემთხვევები, რაც თავისთავად გაივლის, თუმცა არსებობს მძიმე გართულებაც, რაც კოვიდის გადატანის შემდეგ, მცირე ნაწილში ვითარდება. ეს მულტისისტემური ანთების სინდრომია, რომელიც, შესაძლოა, სხვადასხვა სიმპტომით გამოვლინდეს. მისთვის დამახასიათებელია ცხელება და რომელიმე სხვა კლინიკური ნიშანი, მაგალითად, ღებინება, მუცლის, გულ-მკერდის, თავის ტკივილი, ძლიერი სისუსტე, გამონაყარი. ასეთ შემთხვევაში, დაყოვნებლად ექიმს უნდა მიმართოთ!

– როგორ ფიქრობთ, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესის დაწყება ხომ არ უნდა გადაიდოს?

– ევროპის დაავადებათა კონტროლის ცენტრის რეკომენდაცია ასეთია – სასწავლო პროცესი უნდა შეწყდეს მხოლოდ მძიმე ეპიდსიტუაციის შემთხვევაში, რადგან სასწავლო პროცესის ხანგრძლივი წყვეტა არღვევს არა მარტო საგანმანათლებლო პროცესს, არამედ, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვების ფიზიკურ და კოგნიტურ განვითრებაზე.

საკოორდინაციო საბჭომ ახალი სასწავლო წლის დაწყებაზე გადაწყვეტილება იმის მიხედვით უნდა მიიღოს, როგორი ეპიდვითარებაც იქნება იმ დროისთვის ქვეყანაში.

სამართალი

№26 28 ივლისი 2021 წ

„შვილმა გამიმეტა“ – როგორ მოაკვლევინა ქალიშვილმა დედა

ბათო ჯაფარიძე

„მურკა“ – ქალი, რომელსაც მეგობარ მამაკაცად კრიმინალი ჰყავს. მეწყვილის კრიმინალური წარსულისა თუ აწმყოს შესახებ ქალმა იცის, მაგრამ არ აპროტესტებს. შეიძლება, უბრალოდ, ეშინია და იმიტომ არ აპროტესტებს, მაგრამ ძირითად შემთხვევაში, ქალებს „კრიმინალური რომანტიკა“ და თავგადასავლები ხიბლავთ. არცთუ იშვიათად ყოფილა, რომ ქალი გისოსებს მიღმა მხოლოდ იმიტომ მოხვედრილა, დეტალებში იცოდა მომხდარი დანაშაულის შესახებ და მისი დაფარვის გამო პასუხი აგებინეს. ვინც არ იცით, გეტყვით, რომ კრიმინალთა აბსოლუტურ უმრავლესობას სჭირდება ჩადენილი საქმის შესახებ ვინმეს მოუყვეს. ასეთი „ვინმე“, ხშირად, სწორედ „მურკაა“ – არაოფიციალური ცოლი და არც ისაა უცხო, კონკრეტულ პირს რამდენიმე ასეთი „ცოლი“ ჰყავდეს.

სამი ქალისა და ერთი საყვარლის „ბანდა“ – სისხლიანი სასიყვარულო დრამა

„80-იანების შუაწელი იყო. დანაშაული ნელ-ნელა მატულობდა, ქვეყანაც თითქოს რაღაცისთვის ემზადებოდა, მთელ საბჭოეთში რაღაც ახლის მოლოდინი იყო. ამიტომ, არ გამკვირვებია, როცა დარეკეს, ყაჩაღობა მოხდა, ასაკოვანი ქალი დანით აჩეხესო. შემთხვევის ადგილზე გავედი და საბედნიეროდ, ქალი ცოცხალი აღმოჩნდა, თუმცა კომაში. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს და ექიმებმაც ხელები გაშალეს, ან გადარჩება, ან არაო. ექსპერტმა კი ერთმნიშვნელოვანი დასკვნა დადო, დანით მიყენებული ჭრილობები იმდენად ღრმაა, ამას მხოლოდ კაცი თუ შეძლებდაო. წესით, ძიება მე არ უნდა დამეწყო, რადგან ქალი გადარჩა ანუ მკვლელობა არ მოხდა, მაგრამ ამ ამბიდან მეორე დღეს, იმავე უბანში, უკვე ასაკოვანი მამაკაცი მოკლეს დანით. ხელწერა იგივე იყო, ორი საქმე გაერთიანდა და მე გადმომეცა“, – გვიყვება პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

მეორე გარდაცვლილი ომის ვეტერანი გახლდათ და როგორც პირველ შემთხვევაში, მისი სახლიდან ძვირფასეულობა იყო წაღებული, თუმცა მამაკაცის შვილები ამბობდნენ, რომ მამას, პრაქტიკულად, არაფერი გააჩნდა, პენსიის ფულსაც კი იზოგავდა და შვილიშვილებს ჩუქნიდა. გამქრალი იყო ორდენებიც, თუმცა მათ დიდი ღირებულება არ ჰქონდა.

სამაგიეროდ, ქალის ერთადერთი შვილი ამბობდა, რომ დედის სახლიდან დიდძალი ოქროულობა დაიკარგა და მათ შორის, უიშვიათესი ბრილიანტის ბეჭედი, რომლის ღირებულებაც ბაზარზე 15 ათას მანეთზე ნაკლები არ იქნებოდა. გოგონას ფოტოც აღმოაჩნდა, სადაც ის ბეჭედი დედას ხელზე ეკეთა და ამიტომ, სამართალდამცავებმა გადამყიდველები და იატაკქვეშა იუველირები მკაცრად გააფრთხილეს – ბეჭდის გამოჩენის შემთხვევაში, მილიციაში დაერეკათ.

დრო გადიოდა, არც ბეჭედი ჩანდა და არც – დამნაშავის კვალი. სამაგიეროდ, კიდევ ერთი ქალი დაჭრეს და ექსპერტი თავს დებდა, დანა და დარტყმის სიძლიერე იგივეა, რაც წინა ორ შემთხვევაში იყოო. გარდა იმისა, რომ ქალი დაჭრილი იყო, მას მარჯვენა ხელის არათითი ჰქონდა მოჭრილი და როგორც თავად თქვა, თავდამსხმელმა ბეჭედი რომ ვერ მოხსნა, იმიტომ მოაჭრა. თავდამსხმელის აღწერა კი ვერ შეძლო, უკნიდან დამესხა თავს, ჩხვლეტა და აუტანელი ტკივილი ვიგრძენი, მერე აღარაფერი მახსოვსო.

„საეჭვო არაფერი ჩანდა, მაგრამ იმ ქალის დედამ შემოირტყა თავში ხელი, იაფფასიანი ბიჟუტერია ეკეთა, მაგის გულისთვის თითი როგორ მოაჭრეს ჩემს შვილსო. გაჩნდა ვერსია, რომ თავდამსხმელი ძვირფას მეტალში ვერ ერკვეოდა, რადგან თუნდაც ვეტერანის სახლიდან წაღებული ორდენები ღირებულებას არ წარმოადგენდა“, – გვიამბობს ბატონი თენგიზი.

ერთადერთ იმედად პირველად დაჭრილი მოხუცი რჩებოდა, რომელიც კვლავ კომაში იყო. საქმე ის გახლდათ, რომ ქალი ძალიან ფრთხილობდა და კარს უცხოს არ უღებდა. არადა, კარი გატეხილი არ იყო ანუ თავდამსხმელი შინ თავად შეუშვა და შესაბამისად, დასახელებაც შეეძლო, მაგრამ კომიდან ვერ გამოდიოდა, თანაც მისი სახლი არც არეული გახლდათ ანუ თავდამსხმელმა ზუსტად იცოდა, სად ინახებოდა ოქროული და ამიტომ, არც უძებნია – დააკაკუნა, შევიდა, ეგონა, რომ მოკლა, ძვირფასეულობა აიღო და წავიდა.

ამ დროს, ერთ-ერთმა იუველირმა მილიციაში დარეკა და განაცხადა, რომ მასთან ბრილიანტის ბეჭედი მიიტანეს, რომელიც ძალიან ჰგავდა სურათზე ნანახს. იუველირი „დათანხმდა“, ბეჭედში შვიდი ათასი მანეთი გადაეხადა, თუმცა მოიმიზეზა, ამხელა ფული თან არ მაქვსო და მეორე დღისთვის დაიბარა. მართალია, გამყიდველი დაეთანხმა, მაგრამ იუველირი სკვერში, ხალხმრავალ ადგილზე დაიბარა ანუ ის ძალიან ფრთხილობდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამოცდილი კრიმინალი იყო. სკვერის ტერიტორია საიმედოდ გადაკეტეს და გასასვლელი მხოლოდ ერთ მხარეს დატოვეს. მილიციის თანამშრომლებს ეშინოდათ, რომ ეჭვმიტანილი სროლას ატეხდა და რიგითი მოქალაქეები დაზარალდებოდნენ. დატოვებული გასასვლელის ბოლოს კი ექვსი შეიარაღებული თანამშრომელი ამაგრებდა.

„როგორც კი იუველირი ბეჭედს დაინახავდა, პერანგის ბოლო ღილი უნდა გაეხსნა და ეს იქნებოდა ნიშანი, რომ ბეჭედი ადგილზე იყო. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა, იუველირმა ღილი შეიხსნა და ეჭვმიტანილისკენ დავიძარით. ის ფიზიკურად ძალიან ძლიერი იყო, შორიდანვე ჩანდა მისი აღნაგობა. მაშინვე მიხვდა, რაც ხდებოდა და იმ გასასვლელისკენ გაიქცა, რომელიც თავისუფალი ეჩვენა. იმედიანად ვიყავი, რადგან იქ გამოცდილი ხალხი ელოდა, მაგრამ როგორც კი ისინი შენიშნა, იარაღი ამოიღო, სამჯერ გაისროლა – სამივე მიზანში და თვალის დახამხამებაში დაგვეკარგა. საბედნიეროდ, თანამშრომლები გადარჩნენ“, – ამბობს ბატონი თენგიზი.

ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ვერც იუველირმა და ვერც თანამშრომლებმა ვერ მოახერხეს ფოტო-რობოტის შექმნა. სამართალდამცავებს მისი დათვალიერების დრო არ ჰქონდათ, იუველირი კი ისე იყო შეშინებული, ხან ერთს ამბობდა, ხან – მეორეს. ისიც კი თქვა, სამსახურში გამსვლელი აღარ ვარ, სანამ მაგას არ დაიჭერთო და აკი, არც გადიოდა.

ჩავარდნილი ოპერაცია კატასტროფას ნიშნავდა, რადგან სავარაუდო დამნაშავე აუცილებლად შეეცდებოდა საგულდაგულოდ დამალვას და ქვეყნიდან გასვლასაც კი. კიდევ ერთი კვირა ისე გავიდა, ახალი არაფერი მომხდარა. სწორედ მაშინ, როცა გამოძიება ვარაუდობდა, რომ დამნაშავე ხელიდან გაექცა, დაჭრილი ქალი აზრზე მოვიდა, ერთადერთი ფრაზა თქვა და... გულის შეტევით გარდაიცვალა, თუმცა ეს ერთი ფრაზა სავსებით საკმარისი იყო.

„ჩემმა შვილმა გამიმეტა“, – ეს იყო ის სიტყვები, რომლებიც მოხუცმა სიკვდილის წინ წარმოსთქვა. რაღა თქმა უნდა, სამართალდამცავები შვილს მაშინვე არ ეცნენ, პირიქით, დედის გარდაცვალება მიუსამძიმრეს და უთხრეს, სამწუხაროდ, აზრზე მოუსვლელად გარდაიცვალა, დამნაშავის ვინაობა ვერ დაგვისახელაო. ახალი ეჭვმიტანილის თვალთვალი დაიწყო. ქალი გათხოვილი არ გახლდათ, თუმცა შეძლებული მშობლების წყალობით, სამოთახიან ბინაში ცხოვრობდა. ეჭვი, რომ ბინაში მარტო არ იყო, პირველივე დღეს გაჩნდა, რადგან შინ დატვირთული მივიდა. ოპერაცია მეორე დღისთვის დაიგეგმა, მაგრამ...

„ოპერმუშაკებთან ერთად, მეც ვმორიგეობდი. კიდევ ერთი შეცდომა არა მარტო კარიერის დასრულებას მიქადდა, არამედ, იმასაც ნიშნავდა, რომ ცივსისხლიან დამნაშავეს ვეღარ დავიჭერდით. ჰოდა, ხომ წარმოგიდგენია, რა დამემართებოდა, როცა იმავე სადარბაზოში შევიდა ქალი, რომელსაც მანამდე თავს დაესხნენ და თითი მოაჭრეს. ის არათუ იმ სადარბაზოში მივიდა, არამედ, ჩვენი ობიექტის ბინაზე დააკაკუნა და შევიდა. ღამით მათ მესამე ქალიც დაემატათ, დილით კი ყველაფერი ჩვეულებრივად გაგრძელდა – ქალბატონები სამსახურებში წავიდნენ“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

გადაწყდა, დამნაშავე მაშინ უნდა აეყვანათ, როცა დიასახლისი შინ დაბრუნდებოდა და კარს გააღებდა. ოპერმუშაკები მასთან ერთად უნდა შევარდნილიყვნენ ბინაში და მოულოდნელობის ეფექტით ეხელმძღვანელათ, თუმცა ამის საჭიროება აღარ იყო. ნაშუადღევს, ეჭვმიტანილი მშვიდად გამოვიდა გარეთ და მაღაზიისკენ აიღო გეზი. ორმა ოპერმუშაკმა შეამჩნია ქამართან გამობერილი უბე ანუ ის კვლავ შეიარაღებული იყო, ამიტომ ბევრი არ უფიქრიათ – იქვე, ეზოში, მცირე მიწის შემოღობვისთვის დარჭობილი რკინის მილი ამოაძრეს, როცა ეჭვმიტანილი უკან ბრუნდებოდა, მიეპარნენ და მთელი ძალით კეფაში ჩასცხეს. მამაკაცი უგონოდ დაეცა და სანამ აზრზე მოვიდოდა, ხელებსა და ფეხებზე ბორკილები ედო, იარაღს კი ხელში ოპერმუშაკი ათამაშებდა.

როგორც მისი მონაყოლიდან გაირკვა, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ (43 წლის კაცს ციხეში 21 წელი ჰქონდა გატარებული), ის ქალი გაიცნო, ვისთანაც ცხოვრობდა. შემდეგ სხვა გაიცნო, მერე – კიდევ ერთი და საბოლოოდ, გადაწყვიტა, სამივესთან ეცხოვრა. როგორ მოახერხა, რომ ისინი ამაზე დაიყოლია, არავინ იცის, მაგრამ ოთხეული თავს შესანიშნავად გრძნობდა. ქალებმა იცოდნენ, რას წარმოადგენდა მათი რჩეული, მაგრამ მაინც ბედნიერები იყვნენ. სწორედ დიასახლისმა შესთავაზა დედის გაქურდვა, აქაოდა, იქ იმდენი ოქროა, კარგა ხანს გვეყოფაო და კარზეც თავად დააკაკუნა. რა თქმა უნდა, დედამ კარი გააღო და როგორც აღმოჩნდა, შვილის ნაცვლად, ბინაში სიკვდილმა შეაბიჯა. რაც შეეხება თითის მოჭრას, სიმთვრალეში ბრილიანტის ბეჭედი კაცმა სწორედ იმ ქალს აჩუქა, შემდეგ დაბრუნება სთხოვა. ქალმა დაბრუნება არ ისურვა და სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა – დანით დაჭრეს, თითიც მოაჭრეს, მაგრამ შიშით, მილიციასთან არაფერი თქვა. ომის ვეტერანის სიკვდილი კი სრულიად შემთხვევითი იყო. ვეტერანი ვიღაცას ეუბნებოდა, ძაღლის ბედი მაქვს, ტყვია არ მეკარება, სიკვდილი ვერას დამაკლებსო და ნასვამმა კრიმინალმაც სახლამდე მიაცილა, მერე შინ შეჰყვა და... გასართობად მოკლა, ორდენები კი ყოველი შემთხვევისთვის წაიღო.

სასამართლო თითქმის ვერ შედგა. დაკავებული დარწმუნებული იყო, რომ უმაღლეს ზომას მიუსჯიდნენ და თქვა კიდეც, ამ სიამოვნებას არ მოგანიჭებთო. მან სასამართლომდე, საკანში თავი ჩამოიხრჩო. დიასახლისს დედის მკვლელობაში თანამონაწილეობა დაუმტკიცეს და 10 წელი მისცეს, კიდევ ორი ქალბატონი კი პირობითი სასჯელით გადარჩა.

„ხლისტების“ სექტის სისხლიანი ორგიები

ბათო ჯაფარიძე

ფიზკულტურის მასწავლებელი, რომელმაც ოთხი მოსწავლე დაიმონა – სკანდალური საგამოძიები მასალები

ვისაც „დათა თუთაშხია“ წაკითხული ან ნანახი აქვს, აუცილებლად დაამახსოვრდებოდა „ხლისტები“ – ერთგვარი სექტა, რომელიც ადამიანთა ჯგუფს აერთიანებს. რეალურად, ამ ორგანიზაციას „ხრისტები“ („ხრისტი“ – ქრისტიანები) ერქვა, რუსეთში წარმოიქმნა და დღესაც ყველაზე მეტი მიმდევარი სწორედ იქ ჰყავს, თუმცა სახელწოდებამ დეფორმაცია განიცადა და, უცნაური თუ მკაცრი წესების გამო, „ხლისტი“ ანუ მათრახი დაერქვა. „ხლისტები“ არ სცნობენ სამღვდელოებას და თაყვანს არ სცემენ წმინდანებს, მაგრამ მართლმადიდებლურ ეკლესიაში სიარული ნებადართული აქვთ. „ხლისტების“ მოძღვრების თანახმად, ადამიანს შეუძლია, უშუალოდ დაამყაროს კონტაქტი „სული წმიდასთან“, რომელიც შეიძლება, ნებისმიერ ადამიანში გარდამოვიდეს და შედეგად, „ხლისტებს“ ცოცხალი „ქრისტეები“ და „ღვთისმშობლები“ ჰყავთ. ისინი ერთად ლოცულობენ ცეკვის თანხლებით, რაც საბოლოოდ, ორგიაში გადადის.

„70-იანი წლების მიწურულს, ტელეეკრანებზე „დათა თუთაშხია“ გამოვიდა. მანამდე ხომ ნაწარმოები იყო პოპულარული და ფილმმაც არანაკლები ეფექტი მოახდინა. მსახიობების საოცარი თანავარსკვლავედი და რაც მთავარია, შესრულება ყველას ხიბლავდა. ადამიანები ამ ფილმის ფრაზებით საუბრობდნენ და სიმართლე გითხრათ, ჩვენ, სამართალდამცავებსაც გვიხაროდა, საბოლოო ჯამში, მაძებრის ჭკუამ რომ აჯობა აბრაგისას. სწორედ იმ პერიოდში, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მოსკოვში გამიშვეს და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა, როცა ერთ-ერთი მკვლელობის განხილვის დროს, იქაურმა გამომძიებელმა თქვა, ესენი „ხლისტები“ იქნებიანო. საქმით კი არ დავინტერესდი, ლამის მარტომ მოვითხოვე გამოძიება, თავში დათა, ჭაბუა, მუშნი და... „ხლისტები“ მესხდნენ“, – იხსენებს მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ყველაფერი კი უცნაურად დაიწყო: მოსკოვის ერთ-ერთი მაღალსართულიანი კორპუსის მეშვიდე სართულიდან, 16 წლის გოგონა გადმოხტა. ერთი შეხედვით, ტიპური თვითმკვლელობა იყო, მაგრამ ექსპერტიზამ აჩვენა, რომ გოგონას ზურგზე არაერთი ნიარევი ჰქონდა და იარების მიხედვით, სისტემატიურად სცემდნენ. ეს შეიძლება ყოფილიყო სახრე, მათრახი, ქამარი... რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, გოგონას მშობლები დაკითხეს და მიხვდნენ, რომ მათ არც იარებზე ჰქონდათ წარმოდგენა და ზოგადად, უწესიერესი ხალხი იყო. ასეთად ითვლებოდა თავად გარდაცვლილიც, მაგრამ იმავე ექსპერტიზის დასკვნით, გოგონას აქტიური სექსუალური ცხოვრება ჰქონდა და ეს ერთი ან ორი თვის დაწყებული არ იყო. ვერავინ ნახეს ისეთი, ვინც გოგოზე ცუდს იტყოდა და რაც მთავარია, ვერ ნახეს ადამიანი, ვინც მინიშნებით მაინც იტყოდა, რომ გოგოს მეგობარი მამაკაცი ჰყავდა ან ვინმესთან ერთად, ოდესმე შეამჩნიეს.

წერილიც, რომელიც გოგომ სიკვდილის წინ დატოვა, არაფრისმთქმელი იყო. იქ მხოლოდ სამი სიტყვა ეწერა: „მეტი აღარ შემიძლია“.

მომხდარიდან ერთი კვირის შემდეგ, ახლომდებარე კორპუსში გარდაცვლილი ბიჭი იპოვეს. მას თაგვის საწამლავი ჰქონდა არყის ჭიქაში ჩაყრილი და არაყთან ერთად მიღებული. უახლოესი მაღაზიის გამყიდველმა დაადასტურა, რომ ბიჭმა არაყიცა და თაგვის საწამლავიც თავად იყიდა ანუ შემთხვევითობა გამორიცხული იყო, მით უმეტეს, რომ თაგვის წამლის ნარჩენი იქვე, მაგიდაზე ეყარა. იქვე იდო წერილი და ისევ სამი სიტყვა: „მეტი აღარ შემიძლია“.

რაღა თქმა უნდა, გამოძიებამ ეს ორი საქმე გააერთიანა და „ხლისტების“ სექტაც სწორედ მაშინ ახსენეს. მართალია, სექტებითა თუ სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობებით, ძირითადად, უშიშროების სამსახური ინტერესდებოდა, მაგრამ ეს მაშინ, თუ ყველაფერი ფართო მასშტაბებთან იყო დაკავშირებული. ჯერჯერობით, მასშტაბები არ ჩანდა.

„გამომძიებელმა თქვა, ბიჭის გასვენებას უნდა დავესწროთ, აუცილებლად იქნება ისეთი ვინმე, ვინც ჩვენს ყურადღებას მიიპყრობსო და ასეც მოხდა – გასვენებაში ოთხნი წავედით და ცოტა არ იყოს, შეგვრცხვა. საქმე ის გახლდათ, რომ ბიჭის დედის (მამა არ ჰყავდა), ორი თანაკლასელისა და ფიზკულტურის მასწავლებლის მეტი, არავინ იყო. ის ორი თანაკლასელიც არაფრით გამორჩეული გახლდათ – საკმაოდ პუტკუნა გოგონა და ნაყვავილარსახიანი ბიჭი, ცოტა გამოთაყვანებული იერით. მერე გავიგეთ, ეს ბავშვი უკვე გალოთებული იყო, აი, ფიზკულტურის მასწავლებელი, როგორც ხასიათით, ისე ფიზიკურად, ძლიერი მამაკაცი ჩანდა და გადაწყდა, მასზე თვალთვალი დაგვეწესებინა, ორი თანაკლასელის გრემოცვა კი შეგვესწავლა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

თანაკლასელები არაფრით გამორჩეულები იყვნენ. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ორივეს მშობლები საკმაოდ გავლენიანები გახლდნენ, გოგონას დედას ბინების განაწილება ეხებოდა, ბიჭის მამა კი ცენტრალურ კომიტეტში, მართალია, არცთუ მაღალ, მაგრამ მაინც პარტიულ თანამდებობაზე მუშაობდა. ფიზკულტურის მასწავლებელსაც პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა, ორი შვილი ჰყავდა და იმ ორ გარდაცვლილ ბავშვსა და დარჩენილ ორთან მჭიდრო მეგობრობა აკავშირებდა, თუმცა მასწავლებელს ვერავინ ეტყოდა, ბავშვებთან კარგი ურთიერთობა რატომ გაქვსო.

„ოთხივე ბავშვს თუ დააკვირდებით, უცნაურები არიან. ის გოგო ძალიან მსუქანია, ბიჭი – გალოთებული, გარდაცვლილ ბიჭსაც არ ჰყავდა მეგობრები, გარდაცვლილი გოგონაც ძალიან თავშეკავებული გახლდათ. ამ ადამიანებით მანიპულირება მარტივი გახლავთ და ამიტომ მგონია, რომ თუ რამე სექტაა, ლიდერი სწორედ ფიზკულტურის მასწავლებელი უნდა იყოს“, – ეს მოსაზრება ერთ-ერთმა გამომძიებელმა თქვა და სწორედ მას ჩაებღაუჭა ყველა იმიტომ, რომ სხვა ვერსია არ ჰქონდათ.

მასწავლებლის გარდა, თვალთვალი ბავშვებსაც დაუწესეს და როგორც გამოჩნდა, არცთუ ტყუილად: ერთ დღეს, გოგონამ მაღაზიაში საპონი და თოკი იყიდა. ოპერმუშაკები მაშინვე მიხვდნენ, რომ თვითმკვლელობის შანსი დიდი იყო, ამიტომ როცა გოგო შინ ავიდა, კართან მივიდნენ და მიაყურადეს. მალე გაიგონეს სკამის გადაადგილების ხმა და კარი შეამტვრიეს. გოგოს მარყუჟი უკვე გაკეთებული ჰქონდა და სკამზე ასვლას ცდილობდა. რა თქმა უნდა, გოგონა გადაარჩინეს, შემდეგ მშობლებს დაურეკეს და მათთან ერთად, გოგონა დაკითხვაზე გადაიყვანეს.

„ფიზკულტურის მასწავლებელმა გვითხრა, რომ ჩვენ განსაკუთრებული ბავშვები ვიყავით და ამის შესახებ ზემოდან უთხრეს. გვითხრა ისიც, რომ მოსიარულე ღმერთია. მანამდე, სკოლაში მხოლოდ „მსუქანას“ მეძახდნენ, მეორე ბიჭს – ლოთს, მესამეს გოგონები დასცინოდნენ, არც მეოთხეს ჰყავდა მეგობრები. მან გაგვაერთიანა და აგვიხსნა, რომ ჩვენ ყველაზე თავისუფლები და დამოუკიდებლები ვიყავით. პირველი ორგია, დაახლოებით, ერთი წლის წინ გავმართეთ, შემდეგ ამან ყოველკვირეული ხასიათი მიიღო. სპეციალურ მათრახსაც თავად გვირტყამდა, ბოროტი სულები უნდა განვდევნოთო. ცოლ-ქმარს გვარქმევდა და ერთი კვირის მონაცვლეობით ვცხოვრობდით ერთმანეთთან. პირველად რომ თავი მოიკლა, იმ გოგომ თქვა, მე გასვლა მინდა ამ ორგანიზაციიდან, აღარ შემიძლია სამ მამაკაცთან მონაცვლეობით ცხოვრებაო, მაგრამ მოძღვარმა (ფიზკულტურის მასწავლებელმა) არ გაუშვა, ამიტომ მოიკლა თავი. ბიჭს გოგო გულით უყვარდა და იმიტომ მიჰყვა, მე მივხვდი, რომ მოძღვარი აღარ გვაცოცხლებდა და წამებით სიკვდილს, თვითმკვლელობა ვარჩიე“, – ეს თქვა გადარჩენილმა გოგომ.

რეალურად კი, ყველაფერი ბევრად ბანალური აღმოჩნდა: ფიზკულტურის მასწავლებელმა სადღაც ამოიკითხა „ხლისტების“ შესახებ, შემდეგ გადაწყვიტა, ანალოგიური ორგანიზაცია შეექმნა და სარგებელიც ენახა. ის სექტის წევრებს სთხოვდა, მშობლებისთვის ეთქვათ, რომ მასწავლებელს დახმარებოდნენ, მაგალითად, ბინის მიღებაში, ან სკოლაში – სასწავლო ნაწილის თანამდებობის დაკავებაში, მაგრამ მშობლებს ბავშვების თხოვნა არ აინტერესებდათ, უბრალოდ, თვლიდნენ, რომ მათ მასწავლებელი მოსწონდათ და მისთვის სიკეთის გაკეთება სურდათ.

„ყველაზე ამაზრზენი, რაც ამ პროცესში იყო, სასამართლოს გადაწყვეტილება გახლდათ. მოსამართლემ კანონის სრული სიმკაცრით კი იმსჯელა, მაგრამ მასწავლებელს 10 წელზე მეტი ვერ მისცა. არასრულწლოვანთან ნებაყოფლობითი სექსუალური კონტაქტი და თვითმკვლელობამდე მიყვანა მეტად არ ისჯებოდა“, – სინანულით იხსენებს ბატონი თენგიზი.

ყველაფერს თავისი სახელი იმ დღესვე დაერქვა, როგორც კი მასწავლებელი ციხიდან „ზონაზე“ გადაიყვანეს: იმავე საღამოს, მას შემდეგ, რაც „ზონა“ დაიკეტა და შემოწმება ჩატარდა, პატიმრებმა ხმაური ატეხეს, ახლადმოყვანილმა პატიმარმა თავი მოიკლაო. ზედამხედველებმა მისი უსულო სხეული საკნიდან გააათრიეს, ექსპერტმა კი დასკვნა დადო, რომ მას მუცლის არეში, „ზატოჩკით“ სამი ნაჩხვლეტი ჭრილობა ჰქონდა. მთელი საკანი ერთხმად ამტკიცებდა, თავი მოიკლაო და „ზატოჩკაზეც“ მხოლოდ გარდაცვლილის ანაბეჭდები იყო. სინამდვილეში კი, პური ციხის სამართალმა ჭამა.

უცნაური „პაბეგი“ რუსთავის ციხიდან

ბათო ჯაფარიძე



რატომ გაიქცა პატიმარი, რომელსაც სასჯელის ამოწურვამდე 9 დღეღა ჰქონდა დარჩენილი

ციხიდან გაქცევა ყოველთვის მძიმე დანაშაული იყო. გაქცევის შემთხვევები იშვიათი არაა და რაც მთავარია, პატიმრები ხშირად ისეთი ორიგინალობით გამოირჩევიან, მნახველს და ამბის გამგონეს გაოცებულს ტოვებენ. შემთხვევითი არაა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი წიგნი „გრაფი მონტე კრისტოა“, თუმცა შემთხვევას, რომელზეც ახლა გიამბობთ, ანალოგი, სავარაუდოდ, მსოფლიოში არ აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ პატიმარი ციხიდან მაშინ გაიქცა, როცა სასჯელის მოხდამდე... 9 დღე ჰქონდა დარჩენილი ანუ 9 დღის მოხდას სავარაუდო სამწლიან, დამატებით „სროკზე“ წასვლა არჩია და მაინც, რა მოხდა ისეთი, რომ მან ეს ნაბიჯი გადადგა?!

„რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსად ჩემი მეგობარი მუშაობდა. ერთ დღეს მომადგა და მეუბნება, ციხიდან 4 პატიმარი გამექცა და შავ დღეში ვარო. გაქცევის ამბავი ვიცოდი, პატიმრებმა როგორღაც კარის გასაღები ჩაიგდეს ხელში და ღამით იმდენი მოახერხეს, ეზოში გავიდნენ, შემდეგ ღობეზე გადაძვრნენ და იმის მიუხედავად, რომ კოშკურიდან გასროლა მოასწრეს, გაიქცნენ. ის გამიკვირდა, რომ ოფიციალურად, მილიციის განყოფილებებში შეტყობინება სამ გაქცეულზე გამოგვიგზავნეს, ეს კიდევ მეუბნება, ოთხი გაიქცაო. როგორც ამიხსნა, გაქცეულებიდან, სამი მძიმე დანაშაულზე იყო მსჯავრდებული, ერთს კი მხოლოდ 15 დღე ჰქონდა მისჯილი, აქედან 6 მოხდილი ანუ 9 დღე ჰქონდა დარჩენილი და... გაიქცა. ჩემმა მეგობარმა მეოთხის გაქცევა არ გაამხილა, იფიქრა, ამ 9 დღეში არაფერს გააფუჭებს და მერე ისე ვიზამ, თითქოს ციხიდან გავიდაო. ეს იყო რისკი, მაგრამ თითო გაქცეულზე ცალკე მოსთხოვდნენ პასუხს და მეგობრის ძალიან კარგად მესმოდა“, – იხსენებს ერთ-ერთ ძალიან გახმაურებულ, თუმცა საგულდაგულოდ დამალულ საქმეს, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

რაც შეეხება გაქცეულს, რომელსაც ლოგიკურად, ციხე არ უნდა დაეტოვებინა. ის დაჭერამდე პატიოსნად ცხოვრობდა, არ იყო ნასამართლევი, ჰყავდა ოჯახი, შრომობდა და ციხეში იმის გამო მოხვდა, რომ დათვრა და იჩხუბა. წესით, 15 დღე „კა-პე-ზე“-ზე უნდა მოეხადა, მაგრამ იქ ადგილი არ იყო, ორთაჭალის ციხის ერთ ფლიგელს რემონტი უტარდებოდა და ამიტომ, რუსთავში გაამწესეს, აქაოდა, მაინც ცოტა გაქვსო. დანარჩენი სამი გაქცეული კი მძიმე დანაშაულზე იხდიდა სასჯელს – ორი მკვლელობაზე, ერთიც ყაჩაღობაზე.

ციხის უფროსმა და მისმა მეგობარმა ბევრი იფიქრეს, ისიც კი თქვეს, ეგებ, ამ კრიმინალებმა ეს მეოთხე დააშინეს და ძალით გაიყოლესო, მაგრამ მაშინვე გამორიცხეს, რადგან ის მეოთხე ცალკე კამერაში იჯდა, დანარჩენებთან ერთად დარჩა გარეთ და სანამ შემოწმება დაიწყებოდა, მანამ გაიქცა ანუ ამ ნაბიჯზე შეგნებულად წავიდა.

„ჩემს ორ ოპერმუშაკს, რომლებსაც ძალიან ვენდობოდი, ვუთხარი, რომ იმ მეოთხე გაქცეულის სახლთან უნდა გვემორიგევა. ერთი თანამშრომელი იქ დავაყენე, მეორე – სიდედრისა და სიმამრის სახლთან, დის სახლთან მე ჩავსაფრდი, ხოლო თავად ციხის უფროსი – უახლოესი მეგობრის სახლთან მორიგეობდა. ოფიციალური მოთხოვნის უფლება, რაღა თქმა უნდა, არ გვქონდა, რადგან ოფიციალურად, გაქცეული ციხეში იჯდა და სასჯელს იხდიდა. სახლებსაც კი ვერ გავჩხრეკდით, რადგან ორდერი არ გვქონდა, ამიტომ იღბლიან შემთხვევაზე ვიყავით დამოკიდებულნი“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ასე გავიდა ორი დღე, მაგრამ გაქცეული არსად გამოჩენილა. ამასობაში, ერთ-ერთი გაქცეული დააკავეს და ციხის უფროსმა მოასწრო ეთქვა, მეოთხეზე კრინტი არ დაძრა, თუ არ გინდა, სასჯელი ჯოჯოხეთად გექცესო. სამაგიეროდ, ჩუმად გამოჰკითხა, რა უნდოდა იმ მეოთხეს მასთან ერთად და ხელახლა დაკავებულმა ალალად თქვა – ჩვენც არ ვიცით, აგვეკიდა, მთელი დღეები ვარწმუნებდით, თუ დაგიჭირეს, 3 წელს დაგიმატებენ, თუ არადა, მთელი ცხოვრება უნდა იმალებოდეო. ამის მიუხედავად, ის მაინც გაიქცა. შემოწმდა სამეგობრო წრე, მოიკითხეს, ხომ არ ჰყავდა საყვარელი, მაგრამ არაფერი – ყველაფერი რიგზე იყო, არსად გამოჩნდა ძაფი, რომელსაც სამართალდამცავები ჩაებღაუჭებოდნენ და მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა.

„მეოთხე დღეს, გამოდის ჩემი მეგობარი ციხის უფროსი სახლიდან და მანქანასთან ის მეოთხე გაქცეული ელოდება გაღიმებული სახით. როგორი საქმეა? – ყვირილს ხომ არ დაიწყებს? ეს კიდევ ეუბნება, უფროსო, აგერ, ჩემი ფეხით მოვედი, ისიც ვიცი, ჩემი გაქცევა ოფიციალურად რომ არ არის გახმაურებული, წამოვალ და დარჩენილ ხუთ დღეს მოვიხდი, თუ გინდა, ერთი თვე დამიმატე, ხმის ამომღები არ ვარო. ეს კიდევ ადგა და ჩემთან მოიყვანა, გამოძიებაში შენზე უკეთესი არავინ ვიცი, ეგებ, რამე ათქმევინოო“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

იმის მიუხედავად, რომ ციხის უფროსმა და გამოცდილმა გამომძიებელმა, ღამის 4 საათის განმავლობაში, ჯვარედინი დაკითხვა ჩაატარეს, ვერაფერი გაიგეს. გაქცეული პატიმარი მხოლოდ იმას იმეორებდა, ტვინში რაღაც გადამეკეტა, აზრზე რომ მოვედი, მივხვდი, სისულელე გავაკეთე და დავბრუნდიო. სწორედ ამ დროს, გამოცდილ გამომძიებელს გონება გაუნათდა და პატიმრის თანდასწრებით, მეგობარს უთხრა:

„ეს სისხლის სამართლის დანაშაულია, ვერ დავმალავ, ხომ შეიძლება, გახმაურდეს და კარიერა დამენგრევა, ამიტომ განცხადებით შევდივარ მინისტრთან, რომ ყველაფერი ვიცი. ამ შტერს 3 წელს დაუმატებენ და შენზე ვიზრუნებ, რომ მხოლოდ საყვედურით და ორგანოებიდან დროებით დათხოვნით შემოიფარგლონ“...

საქმის ასე შემოტრიალებამ გაქცეული ჯერ დააბნია, მერე კი ისტერიკა დაეწყო. მუხლებზე დაჩოქილი ეხვეწებოდა სამართალდამცავებს, ოღონდ არ დამღუპოთ, შინ ცოლ-შვილი მელოდებაო. გამომძიებელი და ციხის უფროსი შეუვალები იყვნენ. მეტიც, ციხის უფროსმა ფურცელი და კალამი აიღო, იქვე დაიწყო მონანიების წერა, აქაოდა, შემეშალა, დანაშაული დავმალე, გაქცეული აგერ მიზისო. რაც მთავარია, მათ მოწმეც ჰყავდათ – კიდევ ერთი დაკავებული, რომელიც უპრობლემოდ იტყოდა, რომ ოთხნი გაიქცნენ, ამიტომ უცნაურ პატიმარს, „აღსარების“ გარდა, არაფერი დარჩენოდა.

„ბანქოს თამაში მიყვარს. დიდ თანხებზე არასდროს ვთამაშობ, მცირე თანხებზე კი თითქმის ყოველ მეორე დღეს ვერთობი. ამას წინათ, ხელფასი ავიღე და სერიოზულ კამპანიაში მოვხვდი. დავიწყე თამაში, გამიმართლა, ბევრი მოვიგე და ბოლოს, „პოსლეზე“ ვეთამაშე. 25 ათასი მანეთი მოვუგე და მითხრა, ფულს ამა და ამ დღეს ჩაგაბარებო. იქიდან რესტორანში შევედი, დავთვერი და დამაკავეს. „თავანის“ წესი ასეთია – თუ ვერ აბარებ იმას, ვინც წააგო, ფული ქურდებთან აგაქვს, ქურდები კი იმ თანხიდან, მაქსიმუმ, 2-3 ათასს მომცემდნენ. ვიცოდი, რომ გაქცევა მზადდებოდა, ამიტომ წავედი, ფული ჩავიბარე და ახლა, თუ არ „გამიბაზრებთ“ ამ ამბავს, 5 ათას მანეთს გადავუხდი თითოს“, – ეს იყო უცნაური პატიმრის მონაყოლი.

„25 ათასი მაშინ დიდი ფული გახლდათ, ძალიან დიდი. ციხის უფროსმა გამომხედა, იცოდა ჩემი ხასიათი, ამიტომ უხმოდ წამოდგა და თავისი პატიმარი წაიყვანა. ვერ დავდებ თავს, გამოართვა თუ არა 10 ათასი მანეთი, მაგრამ საქმე არ გახმაურებულა ანუ იმ პატიმრისთვის სასჯელი არ დაუმატებიათ“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

საქართველოს პარლამენტმა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი პირველი მოსმენით განიხილა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიცირებით მომზადებული „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე წარადგინა. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის მიზანია დაარეგულიროს მოპედების რეგისტაციასთან და მათი მართვის უფლებასთან დაკავშირებული საკითხები.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მოპედი არ წარმოადგენს მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებას და იგი გათანაბრებულია კიდულძრავიან ველოსიპედთან. წარდგენილი კანონპროექტის თანახმად, მოპედი ექცევა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების განმარტებაში და მასზე გავრცელდება იგივე რეგულაციები, რაც დადგენილია სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისთვის.

შესაბამისად, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონს ემატება ახალი სატრანსპორტო საშუალებათა AM (მოპედი) და A2 (საშუალო სიმძლავრის მოტოციკლი) კატეგორია/ქვეკატეგორია.

ცვლილებებით სავალდებულო ხდება მოპედის სათანადო წესით რეგისტრაცია. ასევე, მისი მართვისთვის საჭირო გახდება „AM“ კატეგორიის მართვის მოწმობის აღება, რომელიც გაიცემა 16 წლის ასაკიდან, მხოლოდ თეორიული გამოცდის ჩაბარების გზით. ასევე, მოპედის მართვის უფლება ექნება ნებისმიერი სხვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მქონე პირს.

გარდა ამისა, ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში, მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილი გახდება ორეტაპიანი. პირველი ეტაპი, დღეს მოქმედი რეგულაციების მსგავსად, ჩატარდება დახურულ საგამოცდო მოედანზე, ხოლო მისი წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მეორე ეტაპი ჩატარდება რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში (ქალაქში), წინასწარ შერჩეულ მარშრუტებზე.

საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი ითვალისწინებს გარკვეულ შეღავათებს სოციალურად დაუცველი და 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირებისთვის.

ამასთან, ცვლილებებით გათვალისწინებულ სიახლეს წარმოადგენს მომსახურების სააგენტოს დისტანციური სერვისების დანერგვა და მოპედების რეგისტრაციისას, დათვალიერების პროცედურის ინსპექტირების ცენტრების მეშვეობით განხორციელება.

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება გამოწვეულია ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების აღსრულებით. კერძოდ, ქვეყნის ვალდებულებას წარმოადგენს „მართვის მოწმობების თაობაზე“ 2006 წლის 20 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2006/126/EC დირექტივის საქართველოს კანონმდებლობაში იმპლემენტაცია.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ ამოიღო – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე, 1979 წელს დაბადებული ა.გ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ა.გ.-ს კუთვნილი ბარგისა და ხელბარგის შემოწმების შედეგად, სამგზავრო ჩანთაში, წინასწარ მოწყობილ სამალავში, დაახლოებით, 2 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ აღმოაჩინეს.

სამართალდამცველებმა ნარკოტიკული საშუალება „კოკაინი“ ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

ამ ეტაპზე, გამოძიებით დგინდება, რომ ბრალდებულმა ნარკოტიკული საშუალება, სავარაუდოდ, ბრაზილიის რესპუბლიკაში შეიძინა და ტრანზიტული გზით საქართველოში შემოტანა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 და 262-ე მუხლის მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს.

პოლიციამ ჯგუფურად განხორციელებული ძარცვის, ყაჩაღობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ბრალდებით, ექვსი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: 1998 წელს დაბადებული დ.ს., 1998 წელს დაბადებული ვ.ჯ., 1990 წელს დაბადებული ლ.ხ., 2002 წელს დაბადებული ნ.ზ., 1981 წელს დაბადებული რ.ა. და 1994 წელს დაბადებული კ.ლ., ჯგუფურად განხორციელებული ძარცვის, ყაჩაღობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 9-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, მიმდინარე წლის 14 ივლისს, თბილისში, შარტავას ქუჩაზე მდებარე ნაქირავებ ბინაში, თანხის გამოძალვის მიზნით, თავს დაესხნენ 1993 წელს დაბადებულ დ.კ-ს, მასზე განახორციელეს ფიზიკური ძალადობა, სიცოცხლის მოსპობის მუქარით წაართვეს თანხა და სხვა პირადი ნივთები, შემდეგ კი აღუკვეთეს თავისუფლება.

სამართალდამცველების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ბრალდებულები, მთელი ღამის განმავლობაში, სხვადასხვა საგნით ახორციელებდნენ დ.კ.-ის წამებას, რის შემდეგაც ბრალდებული დ.ს.-ის მართვის ქვეშ არსებული ავტომობილით გაიყვანეს ქალაქგარეთ, სადაც კვლავ იძალადეს მასზე, ხოლო მოგვიანებით, თავისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიატოვეს.

პოლიციამ ასევე დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 18 ივლისს, ღამით, ბრალდებულები – ვ.ჯ. და კ.ლ., იგივე მოქალაქეს – დ.კ.-ს, სახლიდან გასვლის დროს თავს დაესხნენ, ბლაგვი საგნით დაზიანება მიაყენეს და ფიზიკურად გაუსწორდნენ. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მისი საცხოვრებელი ბინიდან მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ მობილურ ტელეფონებს, მაჯის საათსა და საფულეს, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა, შეტყობინების მიღებისთანავე, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე აქტიური საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარეს, დაიკითხა, როგორც დაზარალებული, ასევე, სხვა პირებიც, დაინიშნა ექსპერტიზები, ჩატარდა ამოცნობები, რა დროსაც დაზარალებულმა დ.კ.-მ, მის მიმართ განხორციელებულ თავდასხმაში მონაწილე ექვსივე პირი ამოიცნო.

ჯგუფურად განხორციელებული ძარცვის, ყაჩაღობის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და წამების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით, 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით და 178-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ მარნეულში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1999 წელს დაბადებული ო.მ., ხულიგნობის ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე, ნაცნობს – 2005 წელს დაბადებულ ა.ა.-ს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი, ამავე ტერიტორიაზე მყოფ ა.ა.-ს დედას -1969 წელს დაბადებულ ს.კ.-საც დაუპირისპირდა. მომხდარი დაპირისპირებისას, ბრალდებულმა ს.კ.-ს, ცივი იარაღის გამოყენებით, ხელის არეში დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაშავებულ ქალს სამედიცინო დაწესებულებაში შესაბამისი მკურნალობა გაეწია, რის შემდეგაც იგი კლინიკიდან გაეწერა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო. იარაღის გამოყენებით ჩადენილ ხულიგნობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 239-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

ორი მედალი და მომავლის იმედი

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე უკვე ორი მედალი გვაქვს. სამწუხაროდ, ორივე ვერცხლის. თავი ჯერ-ჯერობით ძიუდოისტებმა ისახელეს და აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ ვაჟა მარგველაშვილიც და ლაშა შავდათუაშვილიც ფინალში უძლიერეს მოწინააღ-მდეგეებთან დამარცხდნენ. განსაკუთრებით ლაშას მეტოქეზე ვთქვათ – იაპონელი შოეი ონო, ზედიზედ 5 წელია, ყველა ტურნირზე დაუმარცხებელია ანუ სადაც გამოდის, ოქროს მედალს იღებს.

მეხუთე ადგილს დასჯერდა ეთერ ლიპარტელიანი, რომელმაც ბრინჯაოსთვის შეხვედრა, ასევე, იაპო-ნელთან დათმო, თუმცა ესეც კი, ქალ ძიუდოისტთა შორის, ქართველებში ისტორიული შედეგია. ეთო ჯერ მხოლოდ 21 წლისაა და მთელი სპორტული კარიერა წინ აქვს.

ძიუდოისტთა შორის, ისეთი შემადგენლობაა და-რჩენილი, წესითა და რიგით, ქართულ ყულაბაში კიდევ არაერთი მედალი უნდა ჩაჩხრიალდეს. შემდეგ მოჭიდა-ვეების გვეიმედება და, რაღა თქმა უნდა, ლაშა ტალა-ხაძის. ცნობისათვის, საერთაშორისო საბუკმეიკერო კანტორებში, ლაშას ოქროს მედალს კოეფიციენტად 1.02 უწერია ანუ მას უპირობო ფავორიტად მხოლოდ ჩვენ არ ვთვლით.

ეს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, 34-ე ოლიმპიური მედალია;

ლაშა შავდათუაშვილის მედალი მე-9 ვერცხლია საქართველოსთვის;

ქართული ძიუდოსთვის ეს მედალი მეათეა (მე-4 ვერცხლი);

საქართველოს ოლიმპიურ თამაშებზე ორ ვერცხლზე მეტი, ჯერჯერობით, არასდროს მოუპოვებია;

საქართველოსთვის საუკეთესო ოლიმპიადა იყო პეკინი-2008: 3 ოქრო, 2 ვერცხლი, 2 ბრინჯაო.

კოსოვოს ფენომენი და ბომბი საქართველოსთვის

ოლიმპიადის დაწყებამდე, იაპონელები ღიად ამბობ-დნენ, რომ მაქსიმუმს გააკეთებდნენ იმისთვის, რათა კონკრეტულად ძიუდოში, ოქროს ყველა მედალი მათ-თან დარჩენილიყო. კაცები უდანაკარგოდ მიდიან, გო-გონებმა კი უკვე გათამაშებული სამი წონიდან, ოქრო ორ შემთხვევაში დათმეს და ორივეჯერ ისინი სანუ-კვარ მიზნამდე კოსოვოელებმა არ მიუშვეს. -48კგ-ში, იაპონელების ჯილა დისტრია კრასნიკმა დაამარცხა, -57კგ-ში – ნორა იაკოვამ იმარჯვა. ისე ჩანს, კოსოვოში გოგონების ძიუდოს უდიდესი ყურადღება ეთმობა და საკმაოდ შედეგიანდაც, თუმცა...

2 სექტემბერს, საქართველოს საფეხბურთო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, ბათუმის ახლადგახსნილ სტადიონზე, კოსოვოს სტუმრობს. სა-ქართველოს კოსოვო აღიარებული არ აქვს, ამიტომ თუ 2 სექტემბერს, ჰიმნს დავუკრავთ და დროშას ავუწევთ, ეს აღიარება იქნება. ამ პროცესს რიგი ევროპული ქვე-ყნები, მათ შორის, ყველაზე მეტად ესპანეთი ეწინააღ-მდეგება. პირენეელებს კატალონიისა და ბასკეთის პრო-ბლემა აქვთ, თუმცა არის მესამე ფაქტორიც – რუსეთი უკვე ღიად აცხადებს, რომ ცივილიზებულმა სამყარომ კოსოვოს მაგალითზე უნდა აღიაროს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამოუკიდებლობა. არის ერთი გამოსავა-ლიც – საქართველო კოსოვოს ნეიტრალურ მოედანზე შეხვდეს ან კოსოვოს მასპინძლობაზე უარი თქვას და ასეთ შემთხვევაში, ტექნიკური წაგება – 0:3 ჩაგვეთვლე-ბა, მაგრამ პოლიტიკურ სკანდალს ავცდებით.

წავა თუ არა კვარაცხელია „მილანში“

ხვიჩა კვარაცხელიას გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი არ ცხრება. ჩვე-ნი ინფორმაციით, „რუბინისა“ და საქართველოს ნაკრების შემტევის შეძენა „მილანს“ სურს და ტრანსფერში ჩართული იტალიური კლუბის ყოფილი ვარსკვლავი, კახა კალაძეცაა ჩართული. როგორც ამბობენ, დედაქალაქის მერს, „მილანის“ სპორტული დირექტორი და კალაძის ყოფილი თანაგუნდელი, პაოლო მალდინი პირადად ესაუბრა. იმასაც ამბობენ, რომ ყველა დეტალი უკვე შეთანხმებულია და კვარაცხელიამ სოციალურ ქსელში, საკუთარ გვერდზე დაწერა კიდეც – „ოცნებები სრულდება“, თუმცა...

რუსეთში ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო და პირველ ტურში, „რუბინმა“ მოსკოვის „სპარტაკი“ დაამარცხა. ექსპერტებმა ხაზი იმას გაუსვეს, რომ კვარაცხელია ჩვეულად აქტიური არ იყო და თავი შეინახა ანუ ტრავმის მიღებას მოერიდა. ნამატჩევს კი „რუბინის“ ოფიციალურმა გვერდმა ფოტო გაავრცელა, სადაც ხვიჩას წარწერა უჭირავს – „შეეშვით წერას, რომ სადღაც მივდივარ“. იმავე დღეს, გუ-ნდის სპორტულმა დირექტორმა გააკეთა განცხადება, კვარაცხელიას თაობაზე ოფიციალური წინადადება არ გვაქვსო, მაგრამ... იტალიური მედიაც წერს, რომ ყველა დეტალი შეთანხმებულია და კვარაცხელია „მილანთან“ კონტრაქტს ამ თვეში გააფორმებს.

მამუკელაშვილი დრაფტისთვის მზადაა

29 ივლისს, ბრუკლინის ბარკლაი სენთერში, NBA-ს დრაფტი ჩატარდება. ამერიკული კლუბები იმ ახალგაზრდებს აირჩევენ, რომლებსაც მომავალი სეზონისთვის მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში შეეძლებათ თავის გამოჩენა. დრაფტში მონაწილეობას სანდრო მამუკელაშვილიც მიიღებს. როგორც ამერიკელი ჟურნალისტები ამბობენ, ქართველს, სავარაუდოდ, 42-ე ნომრად აირჩევენ და იმედია, ასეც იქნება.

საქმე ის გახლავთ, რომ კალათბურთელს NBA-ში მოხვედრა და დრაფტზე დადგომა მხოლოდ ერთხელ შეუძლია და მათ, ვისაც არ აირჩევენ, ამერიკულ საკალათბურთო ლიგას სამუდამოდ ემშვიდობებიან. თუმცა მამუკელაშვილს იმდენად კარგი პრესა აქვს, რომ გამორიცხული გვგგონია, 29 ივლისს, ჩვენებური უგუნდოდ დარჩეს. შედეგად, NBA-ში, გოგა ბითაძისა და მამუკელაშვილის სახით, ორი ქართველი გვეყოლება.

სალუქვაძემ ისტორია გადაწერა

ნინო სალუქვაძე მსოფლიო სპორტის ლეგენდა ოფიციალურად გახდა. ის არის პირველი ქალი, რომელმაც მეცხრედ მიიღო ოლიმპიადაზე მონაწილეობა და მართალია, 10 მეტრზე პისტოლეტით სროლაში ფინალში ვერ გადავიდა, დიდ დისტანციაზე შანსი ისევ ექნება. სალუქვაძის მიღწევას ვრცელი სიუჟეტი CNN-მაც მიუძღვნა და არაერთი ცნობილი სპორტსმენი გამოეხმაურა.

„ქართველი ნინო სალუქვაძე პირველი ქალი გახდა, ვინც მე-9 ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა. ის 53 წლისაა და 1998 წელს, სეულის ოლიმპიადიდან მოყოლებული, ყველა თამაშებში გამოვიდა. ის სპორტის ლეგენდაა!“, – დაწერა საკუთარ გვერდზე ლეგენდარულმა ესპანელმა კალათბურთელმა, პაუ გასოლმა.

ბასილაშვილმა, ზვერევთან ერთად, ნერვებსაც უნდა აჯობოს

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი, ნიკოლოზ ბასილაშვილი ოლიმპიადაზე წარმატებულ სვლას აგრძელებს. 1/16-ფინალში, ჩვენებურმა იტალიელ ლორენცო სონეგოს მოუგო. აპენინელი რეიტინგში 26-ე ნომერია და ფავორიტადაც მიიჩნეოდა, მაგრამ ბასილაშვილმა შეძლო და მეტოქე სამ სეტში – 6:4, 3:6, 6:3 დაამარცხა.

1/8-ფინალში, ქართველის მეტოქე გერმანიის სახელით მოასპარეზე რუსი ჩოგბურთელი, ალექსანდრ ზვერევი იქნება. ზვერევი მსოფლიო რეიტინგის მეხუთე პოზიციაზეა და რაღა თქმა უნდა, ფავორიტად მიიჩნევა, თუმცა თუ ნიკა მოახერხებს და ნერვებს მოერევა, მეტოქესთან მოგების ძალიან კარგი შანსი ექნება. ნერვები ტყუილად არ გვიხსენებია. ბასილაშვილმა აღნიშნა, რომ ტოკიოში აუტანელი სიცხე და ტენიანობაა, რაც თამაშში ხელს უშლის. სონეგოსთან ასპარეზობის დროს, მას მარტივად შეეძლო, საქმე ორ სეტში მოემთავრებინა, თუმცა ხან მწერმა მოუშალა ნერვები (ქართული გინებაც გავიგეთ), ხან საკუთარი მოწოდება არ მოეწონა და ჯავრი ჩოგანზე იყარა. ნიკასგან გულშემატკივრები ბევრს ელიან და ამიტომ, მეტოქესთან ერთად, აუცილებელია, საკუთარ ნერვებზეც გაიმარჯვოს.

როცა ჩემპიონობა გენში გაქვს...

ტადაჰირო ნომურა დღემდე ერთადერთი ძიუდოისტია, რომელსაც მამაკაცებს შორის, ოქროს სამი ოლიმპიური მედალი აქვს. ძალიან, ძალიან ძნელი იქნება, ოდესმე, ვინმემ ნომურას მიღწევა გააუმჯობესოს, რადგან ძიუდოისტისთვის სამ ოლიმპიადაზე მონაწილეობაც დიდი შედეგია და სამივეს მოგება, ხომ, საერთოდ...

ტოკიოში მიმდინარე ოლიმპიურ თამაშებზე, ისტორიული ფაქტი მოხდა. და-ძმამ, უტა და ჰიფუმი აბეებმა, ერთ დღეს იზეიმეს ჩემპიონობა – უტა ქალთა შორის გახდა უძიერესი, ჰიფუმიმ კი ფინალში, ვაჟა მარგველაშვილს მოუგო. 2018 წელს, და-ძმამ ერთი სენსაცია ბაქოში გამართულ მსოფლიოს ჩამპიონატზეც მოახდინა, როცა ჯერ უტა გახდა მსოფლიოს უძლიერესი, ნახევარ საათში კი საოჯახო ყულაბაში ოქრო ჰიმუფიმ წაიღო. და რა შუაშია, ამ ყველაფერთან, ნომურა?! საქმე ის გახლავთ, რომ უტა და ჰიმუფი აბეები, ლეგენდარული ფალავნის დის შვილები არიან და ტურნირებისთვის და-ძმას, სწორედ ბიძა ამზადებს.

13 წლის ოლიმპიური ჩემპიონი

სკეიტბორდი ოლიმპიური თამაშების სახეობაში ცოტა ხნის წინ შეიტანეს და სპორტის ამ სახეობაში, პირველი მედლები ტოკიოში გათამაშდა. სკეიტბორდი ბავშვების გასართობი რომ არის, იაპონიაში კარგად გამოჩნდა. ჩემპიონი 13 წლის იაპონელი, მომიჯი ნიშიია გახდა, მეორე ადგილი ბრაზილიელმა რაისა ლეალამ დაიკავა – ისიც 13 წლისაა, ხოლო მესამეზე ისევ იაპონელი, 16 წლის ფუნა ნაკაიამა გავიდა.

ნიშიიამ ოქროს მედალი 13 წლისა და 330 დღის ასაკში მოიპოვა. იგი ზაფხულის ოლიმპიადის ისტორიაში, მეორე, ყველაზე ახალგაზრდა ტრიუმფატორია. მასზე უკეთესი შედეგი მხოლოდ მარჯორი გესტრინგს აქვს, რომელმაც 1936 წელს გამართულ ოლიმპიადაზე, ოქროს მედალი 13 წლისა და 268 დღის ასაკში დაისაკუთრა.

გალაკტიონის უკვდავი პოეზია



ლურჯა ცხენები

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე.
მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!
სიზმარიან ჩვენებით – ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!
იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება:
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;
გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება,
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში.
ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები!
ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია!
ახლა კი სამარეა შენი განსასვენები!
რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის, შენს სახელს?
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!
მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება!
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.
მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები!

სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში

დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი.
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე.
შემოიღამებს მთის ნაპრალები,
და თუ როგორმე ისევ გათენდა _
ღამენათევი და ნამთვრალევი,
დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან!
ღამენათევი და ნამთვრალევი
მე მივეყრდნობი სალოცავ კარებს,
შემოიჭრება სიონში სხივი
და თეთრ ოლარებს ააელვარებს.
და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი
გედი დაჭრილი ოცნების ბაღით!
შეხედე! დასტკბი ყმაწვილურ ბედის
დაღლილ ხელებით წამებულ სახით!
შეხედე! დასტკბი! ჩემი თვალები
წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით, _
ღამენათევი და ნამთვრალევი
სავსეა ცრემლთა შურისძიებით!
დასტკბი! ასეა ყველა მგოსნები?
შენს მოლოდინში ასეა ყველა?
სული, ვედრებით განაოცები,
შენს ფერხთქვეშ კვდება, როგორც პეპელა.
სად არის ჩემთვის სამაგიერო?
საბედნიერო სად არის სული?
ვით სამოთხიდან ალიგიერი,
მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!
და როცა ბედით დაწყეტილ გზაზე
სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,
განსასვენებელ ზიარებაზე
ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!
დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით
გამაქანებენ სწრაფი ცხენები!
ღამენათევი და ნამთვრალევი
ჩემს სამარეში ჩავესვენები.
დედაო ღვთისავ, მზეო მარიამ!
როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,
ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია
და შორეული ცის სილაჟვარდე!

უსიყვარულოდ

უსიყვარულოდ
მზე არ სუფევს ცის კამარაზე,
სიო არ დაჰქრის, ტყე არ კრთება
სასიხარულოდ....
უსიყვარულოდ არ არსებობს
არც სილამაზე,
არც უკვდავება არ არსებობს
უსიყვარულოდ.
მაგრამ სულ სხვაა სიყვარული
უკანასკნელი,
როგორც ყვავილი შემოდგომის
ხშირად პირველს სჯობს,
იგი არ უხმობს ქარიშხლიან
უმიზნო ვნებებს,
არც ყმაწვილურ ჟინს, არც ველურ ხმებს
იგი არ უხმობს...
და შემოდგომის სიცივეში
ველად გაზრდილი,
ის გაზაფხულის ნაზ ყვავილებს
სულაც არა ჰგავს...
სიოს მაგივრად ქარიშხალი
ეალერსება
და ვნების ნაცვლად უხმო ალერსს
გარემოუცავს.
და ჭკნება, ჭკნება სიყვარული
უკანასკნელი,
ჭკნება მწუხარედ, ნაზად, მაგრამ
უსიხარულოდ.
და არ არსებობს ქვეყანაზე
თვით უკვდავება,
თვით უკვდავებაც არ არსებობს
უსიყვარულოდ!

მზეო თიბათვისა

მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა,
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები.
იგი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით,
ფრთებით დაიფარე – ამას გევედრები.
ტანჯვა-განსაცდელში თვალნი მიურიდენ,
სული მოუვლინე ისევ შენმიერი,
დილა გაუთენე ისევ ციურიდან,
სული უმანკოთა მიეც შვენიერი.
ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეეღება,
უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,
მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,
მზეო თიბათვისა, ამას გევედრები.

ქარი ჰქრის...

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?..
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!..
შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!..

მერი

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიან ცის ელვა და ფერი
მწუხარე იყო, ვით შემოდგომა!
აფეთქებული და მოცახცახე
იწვოდა ნათელ ალთა კრებული,
მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე
იყო იდუმალ გაფითრებული.
იწვოდა ტაძრის გუმბათი, კალთა,
ვარდთა დიოდა ნელი სურნელი,
მაგრამ ლოდინით დაღალულ ქალთა
სხვა არის ლოცვა განუკურნელი.
მესმოდა შენი უგონო ფიცი...
მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...
ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი:
ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?
ლოდებთან ვიღაც მწარედ გოდებდა
და ბეჭდების თვლებს ქარში კარგავდა...
იყო ობლობა და შეცოდება,
დღესასწაულს კი ეს დღე არ ჰგავდა.
ტაძრიდან გასულს ნაბიჯი ჩქარი
სად მატარებდა? ხედვა მიმძიმდა!
ქუჩაში მძაფრი დაჰქროდა ქარი
და განუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა.
ნაბადი ტანზე შემოვიხვიე,
თავი მივანდე ფიქრს შეუწყვეტელს;
ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე
ღონე-მიხდილი მივაწექ კედელს.
ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს
და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები
აშრიალებდნენ ფოთლებს ბნელხმიანს,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.
და შრიალებდა ტოტი ვერხვისა,
რაზე – ვინ იცის! ვინ იცის, მერი!
ბედი, რომელიც მე არ მეღირსა _
ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი.
სთქვი: უეცარი გასხივოსნება
რად ჩაქრა ასე? ვის ვევედრები?
რად აშრიალდა ჩემი ოცნება,
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?
ან ცას ღიმილით რად გავცქეროდი,
ან რად ვიჭერდი შუქს მოკამკამეს?
ან „მესაფლავეს“ რისთვის ვმღეროდი,
ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ღამეს“?
ქარი და წვიმის წვეთები ხშირი
წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული
და მე ავტირდი – ვით მეფე ლირი,
ლირი, ყველასგან მიტოვებული.

ვირუსთან ბრძოლაში ღეროვანი უჯრედები დაიხმარეს

ღეროვანი უჯრედების გამოყენებით შექმნილი კოვიდვირუსის საწინააღმდეგო ახალი პრეპარატის ცდების პირველი სტადია წარმატებით დასრულდა ისრაელში, კლინიკა „რამბამში“. სპეციალისტების თქმით, დღე-ღამის განმავლობაში, სულ სამი ინექცია იყო საჭირო იმისთვის, რომ დარეგულირებულიყო პაციენტების სატურაციის დონე და მნიშვნლოვნად გაუმჯობესებულიყო მათი მდგომარეობა. ამჟამად, კლინიკაში, ცდების მეორე ეტაპი მიმდინარეობს, რომელშიც კორონავირუსით დაინფიცირებული 60 მძიმე პაციენტი მონაწილეობს. მესამე ფაზის დროს კი კვლევებში მონაწილეობას 300 ავადმყოფი მიიღებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ღეროვან უჯრედებს აქვთ იმუნური სისტემის დამშვიდების თვისება. შეიძლება ითქვას, რომ ისინი მოქმედებენ ორგანიზმში, როგორც „სასწრაფო დახმარება“.

„ამ უჯრედებში მცირე ცვლილება შეგვაქვს და ეს აძლიერებს მათ მოქმედებას ორგანიზმში, ანთებითი პროცესების წინააღმდეგ“, – აცხადებს მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელი.

ღეროვან უჯრედებს ჯანმრთელი ადამიანისგან იღებენ, ბიორეაქტორში სპეციალური ტექნოლოგიით ამუშავებენ და აუცილებელი ცვლილებები შეაქვთ. მთელ ამ მოსამზადებელ პროცესს 10 დღე სჭირდება. პრეპარატი ინექციის სახით მზადდება და ის კანქვეშ შეჰყავთ. ახალი პრეპარატის თვითღირებულება შედარებით მცირეა, მძიმე პაციენტების ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა კი რამდენჯერმე მცირდება.

წონაში მოკლება გსურთ? – შეიყვარეთ!

18 წლის ბრიტანელი გოგონა, იზაბელ მორი ბავშვობიდან ჭარბწონიანი იყო იყო. ის საკუთარ სხეულს ვერ იტანდა, რადგან ბიჭმა, რომელიც უყვარდა, მას სიმსუქნის გამო დასცინა. გასულ წელს, კორონავირუსის გამო თვითიზოლაციაში ყოფნისას, მტკიცედ გადაწყვიტა, რომ აუცილებლად დაიკლებდა წონაში და რადიკალურად შეცვალა საკუთარი რაციონი. ჯანსაღად იკვებებოდა და კვირაში ორ დღეს შიმშილობდა (დღიური კალორიების მხოლოდ 25%-ს იღებდა). ნახევარი წლის შემდეგ, იზაბელი, რომელიც მანამდე, მუდმივად მუცლის დაფარვას ცდილობდა, სრულიად შეიცვალა. ახლა ოთხი ზომით ნაკლებ ტანსაცმელს ატარებს და ბიკინსაც თავისუფლად იცვამს.

თვითმკვლელობისგან ძაღლმა იხსნა

ძაღლმა-თერაპევტმა, სახელად დიგბიმ, ახალგაზრდა ქალი სიკვდილს გადაარჩინა, რომელიც ქალაქ ექსეტერის ახლოს, ხიდიდან გადახტომას ცდილობდა. სამი წლის ლაბრადუდელი (ლაბრადორისა და პუდელის ნაჯვარი), ჩვეულებისამებრ, მეხანძრეებს თერაპევტული სეანსების დროს ეხმარება, რათა ტრავმებისა და დამწვრობის ტკივილებს გაუმკლავდნენ. თუმცა, რამდენიმე დღის წინ, ის იმ ხიდთან მიიყვანეს, საიდანაც ახალგაზრდა გადახტომას აპირებდა. მანამდე, მას ფსიქოლოგები ესაუბრნენ, თუმცა დადებითი შედეგი ვერ მიიღეს და მაშველებმა დიგბის უხმეს დასახმარებლად. ძაღლი ქალთან მიუშვეს, თვითმკვლელობის მსურველმა გოგონამ ცხოველის მოფერება გადაწყვიტა და ხიდიდან გადახტომა გადაიფიქრა.

რეჟისორს ძველი „ცოდვა“ გაუხსენეს და გაუშვეს

პოპულარული იაპონელი კომიკოსი, კენტარო კობაიასი ტოკიოს ოლიმპიადის გახსნის ცერემონიის რეჟისორის თანამდებობიდან იმის გამო გაუშვეს, რომ 1998 წელს, მან ჰოლოკოსტზე იხუმრა. ინტერნეტში გავრცელდა კობაიასის კომედიური ნომრის ვიდეოჩანაწერი, სადაც ის ამბობს: "მოდით, ვითამაშოთ ებრაელების ხოცვის თამაში".

ამ ინციდენტის გამო, კომიკოსმა ბოდიში მოიხადა – მაშინ, სიტყვების შერჩევაში შევცდი და ამას ძალიან ვნანობო. სოციალურ ქსელში ბევრმა გააკრიტიკა კობაიასი, ზოგმა კი დაიცვა – ოც წელზე მეტი ხნის წინ ნათქვამი ამ მოკლე ფრაზის გამო, ადამიანის ასე დასჯა არ შეიძლებაო.

ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲡᲘᲘᲓᲐᲜ ᲚᲘᲕᲔᲠᲞᲣᲚᲘ ᲐᲛᲝᲘᲦᲔᲡ

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა კულტურული მემკვიდრეობის სიიდან ქალაქი ლივერპული ამოიღო. მიზეზი იმ თვისებების საბოლოო დაკარგვაა, რაც ობიექტის უნივერსალურ ღირებულებაზე მიუთითებდა. ობიექტი, „ლივერპული - მეზღვაურებისა და ვაჭრების ქალაქი“, სიაში 2004 წელს მოხვდა. მასში შედიოდა ისტორიული ცენტრისა და ლივერპულის პორტის ტერიტორიაზე მდებარე ექვსი ნაკვეთი. 2012 წელს, ისინი განადგურების საფრთხის ქვეშ მყოფ ობიექტთა ჩამონათვალში მოხვდა კომპლექსის - Liverpool Waters მშენებლობის გამო. კომიტეტმა ჩათვალა, რომ ეს პროექტი ობიექტის მთლიანობასა და ნამდვილობას აზიანებს.

ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲐ ᲛᲔᲑᲐᲦᲔᲝᲑᲐᲡ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲔᲜ

იტალიელ მეცნიერთა ჯგუფმა მსოფლიოში პირველი წყალქვეშა ბაღი შექმნა ხმელეთის მცენარეებისთვის. პროექტი, სახელწოდებით - „ნემოს ბაღი“ (Nemo’s Garden), Ocean Reef Group-მა, ექსპერიმენტის სახით დაიწყო, სადაც სხვადასხვა სახის მცენარეა წარმოდგენილი, რეჰანიდან მარწყვის ჩათვლით. მკვლევარები იმ შემთხვევისთვის ემზადებიან, თუ მომავალში, კლიმატური ცვლილებების გამო, იტალიის ზოგიერთი რეგიონი ძალიან მშრალი იქნება სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისთვის.

ჰაერით სავსე ექვსი სათბური, ლიგურიის სანაპიროსთან, რვა მეტრის სიღრმეზე მდებარეობს. მზის ენერგიის დახმარებით, ელექტროენერგიის მინიმალური მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია, აორთქლილი ზღვის წყალი კი კონდენსირდება სათბურის ჭერის შუაზე, რომელსაც მცენარეების მოსარწყავად იყენებენ. მოწეული მოსავლის მოსაკრეფად, მყვინთავი წყალში ჩადის. სპეციალისტები ამბობენ, რომ მაღალი წნევა, რაც წყლის სიღრმეშია, სინამდვილეში, სასარგებლოა მცენარეების სიჯანსაღისა და ზრდისთვის. რაც მთავარია, ეს პირობები მოსავალს განსაკუთრებულ გემოს ანიჭებს.

ᲑᲚᲝᲒᲔᲠᲛᲐ ᲕᲘᲠᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲧᲘᲓᲐ

TikTok-ის პოლონელი ბლოგერი, მარტა რენტელი მსოფლიოში პირველი ადამიანი გახდა, რომელმაც საკუთარი „ვირტუალური სიყვარული“ გაყიდა. „ფიზიკური, პლატონური და ციფრული სიყვარული განსხვავდება ერთმანეთისგან, მხოლოდ ყოველი მათგანი რეალურია ისევე, როგორც ყველა ჩვენი ფიქრები და გრძნობები... ციფრული, სამუდამოს ნიშნავს“, - დაწერა ბლოგერმა საკუთარ გვერდზე.

მარტას „სიყვარული“ ანონიმმა მყიდველმა 250 ათას დოლარად შეიძინა და სოციალური ქსელის 21 წლის ვარსკვლავის „ციფრულ გრძნობაზე“ ყველა უფლება ახლა მას ეკუთვნის. აღსანიშნავია, რომ გოგონას სიყვარული მხოლოდ ონლაინ-სივრცეში იქნება წარმოდგენილი და მყიდველი ვერანაირ ფიზიკურ სიახლოვეს ვერ მიიღებს.

„ᲒᲐᲖᲘᲐᲜᲘ ᲙᲝᲤᲔᲘᲜᲘ“ ტᲕᲘᲜᲡ ᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲡ

შვეიცარიელი მეცნიერები განგაშს ტეხენ: კოფეინი, რომელიც გაზიან სასმელებშია, მოზარდებში ტვინის განვითარებას აფერხებს. ეს ნივთიერება ღრმა ძილს უშლის ხელს, რაც ტვინის განვითარების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. გამუდმებული გამოუძინებლობის შემთხვევაში, იზრდება შიზოფრენიის, შიშებისა და სხვადასხვა აშლილობების რისკი. სპეციალისტებმა ექსპერიმენტი მღრღნელებზე ჩაატარეს, მიღებულმა შედეგებმა კი სწავლულები მეტად შეაშფოთა. მოზარდები, რომლებიც ყოველდღიურად მიირთმევენ ოთხ ქილა გაზიან სასმელს ან ოთხ ფინჯან ყავას, რისკის ჯგუფში ხვდებიან. მათ ღრმა ძილის დაბალი მაჩვენებელი და ტვინის განვითარების ნელი ტემპი აღენიშნებათ. სტატისტიკის მიხედვით, ბოლო 30 წლის განმავლობაში, ბავშვებსა და მოზარდებში, კოფეინის მოხმარება 70%-ით გაიზარდა. ბაზარზე ახალ-ახალი მატონიზირებელი სასმელი გამოდის, რაც უმალ ხდება პოპულარული. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ის ჯანმრთელობისთვის საშიშია და სჯობს, მათი მოხმარებისგან თავი შევიკავოთ, - გვირჩევენ მეცნიერები.

ყინულის დიეტა შეიმუშავეს

შეერთებულ შტატებში, სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს ყინულის დიეტა, რომლის ავტორია გასტროენტეროლოგი, ბრაიან ვაინერი. დოქტორმა არა მხოლოდ გაანდო გახდომის მსურველებს ყინულის უპირატესობა, მათ ამ თემაზე წიგნი - The Ice Diet დაუწერა და ინტერნეტში უფასოდ განათავსა. წიგნში აღწერილია ახალი დიეტის ყველა ძირითადი უპირატესობა და განსაკუთრებული თვისებები. ამერიკელი სწავლულის განცხადებით, ყინული შესანიშნავად წვავს კალორიებს (160 კკალ. ისევე, როგორც 1.6 კილომეტრის გარბენისას). თუმცა დოქტორის თქმით, ყინულით ზედმეტად გატაცებაც არ ღირს, საკმარისია, დღე-ღამეში მხოლოდ ერთ კილოგრამამდე მიირთვათ.

ვაინერის თქმით, როცა ადამიანი ყინულის მნიშვნელოვან რაოდენობას მიირთმევს, მისი ორგანიზმი წვავს ენერგიას ამ ყინულის გასადნობად. ყინულის ჭამა, გარკვეულწილად, დანაყრებასაც იწვევს, რადგან ის გადნობამდე ფიზიკურად ავსებს სივრცეს პირის ღრუსა და შემდგომ კუჭში. ასე რომ, ყინულით ორმაგი ეფექტის მიღწევა შეიძლება - თან დანაყრდებით და ამავდროულად, კალორიებსაც დაწვავთ. დოქტორის განცხადებით, ყინულის ზომიერად მიღება ადამიანის ჯანმრთელობას არავითარ პრობლემას არ შეუქმნის. რაც შეეხება კბილებს, ყინულმა, მისი დაკვნეტისას, შესაძლოა, კბილის ემალი და ღრძილებიც დააზიანოს. ამ შემთხვევაში, დოქტორი მსურველებს ურჩევს, ყინული ან პირში გაადნონ, ან დაფხვნან და ისე მიირთვან.

კოსმოსში ქორწილებსაც გამართავენ

იაპონურმა ფირმამ - First Advantage, ახალი წამოწყების შესახებ განაცხადა და კოსმოსში საქორწინო ცერემონიის ჩატარების მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო. ქორწილის ჩატარებას ვარაუდობენ მცირე ზომის საფრენ აპარატზე, რომელიც დედამიწიდან 100 კილომეტრის სიმაღლეზე აფრინდება. მთელი ფრენის პერიოდი ერთ საათს გაგრძელდება, უწონობის მდგომარეობას კი ქორწილის მონაწილეები ანუ მგზავრები, რამდენიმე წუთის განმავლობაში გამოსცდიან. კოსმოსურ სივრცეში ერთგულების ფიცის დადების შესაძლებლობაში, მეწარმეები 240 მილიონ იენს (2.3 მილიონი დოლარი) ითხოვენ. კლიენტები კი ამ „კოსმოსურ ქორწილში“ მხოლოდ სამ სტუმარს წაიყვანენ. იაპონური ფირმა, ამერიკელ ბიზნესმენებთან ერთად მუშაობს, რომლებიც ქორწილის "გაშვებას" ოკლაჰომას აეროპორტიდან უზრუნველყოფენ. ამომავალი მზის ქვეყნის სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მათი კლიენტების უმრავლესობა ჩინელები ან არაბები იქნებიან.

სწარაფად დაბერების მიზეზს მიაგნეს

ადამიანის დაბერების პროცესს სერიოზულად აჩქარებს მავნე ნივთიერებები, რომლებიც ორგანიზმში გარე-მოდან ხვდებიან, - ამტკიცებენ ამერიკელი სწავლულები. კაროლინის უნივერსიტეტის ონკოლოგიური ცენტრის სპეციალისტებმა, ცოტა ხნის წინ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დაადგინეს, რომ გენები მხოლოდ 30%-ით ახდენს გავლენას იმაზე, თუ როგორ გამოიყურება ადამიანი, ხოლო გარე-ფაქტორები ორგანიზმზე გაცილებით სერიოზულად ზემოქმედებენ. მათი როლი ექსპერტებმა 70%-ით შეაფასეს. დაბერების პროცესის სისწრაფის განსაზღვრის მეთოდიკა მკვლევარებმა მღრღნელებზე გამოსცადეს. ასევე, ექსპერიმენტისას გამოავლინეს ის გენებიც, რომლებიც შედარებით მეტად ეწყობენ ხელს დაბერებას. მიღებული მონაცემების მიხედვით, ყველაზე საშიში ტოქსინია სიგარეტის კვამლი. მეორე და მესამე ხარისხის ზიანს ახალგაზრდობას ულტრაიისფერი გამოსხივება და ქიმიოთერაპია აყენებს, თანაც ეს უკანასკნელი პროცედურა სიბერეს 15 წლით გვიახლოვებს. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ეს ფაქტორები აზიანებენ ჯანმრთელ უჯრედებს, რომლებიც ნეგატიური ზემოქმედების გამო, გაყოფის უნარს კარგავენ. დროთა განმავლობაში, ეს დაზიანებული უჯრედები ორგანიზმში გროვდებიან და სხვადასხვა სახის ანთებით პროცესებს იწვევენ, შედეგად კი ათასგვარი ასაკობრივი დაავადებაც ჩნდება.

კომბოსტო რადიაციისგან გვიხსნის

ნაერთებმა, რომლებსაც ფოთლოვანი და ყვავილოვანი კომბოსტო, ასევე, ბროკოლი შეიცავს, ლაბორატორიული თაგვები გამა-გამოსხივებისგან დაიცვეს. ეს ნაერთები პერსპექტიულია სხივური თერაპიის შედეგების შესარბილებლად და ტექნოგენური კატასტროფებისას, რადიაციით დაზარალებულების დასახმარებლადაც კი. სპეციალისტების განცხადებით, ანტიკანცეროგენული მოქმედებით, კომბოსტოში არსებული ერთ-ერთი ნაერთია ინდოლ-3-კარბინოლი, ხოლო ორგანიზმში მისი დაშლის შედეგად მიღებული პროდუქტია დიინდოლილმეტანი. სწორედ ეს უკანასკნელი იცავს უჯრედებს გამოსხივების შედეგებისგან, თანაც იმ ფერმენტის გააქტიურებით, რომელიც დნმ-ის დაზიანებაზე პასუხს არეგულირებს, რაც აუცილებლად ხდება დასხივებულ უჯრედებში. ეს მეტად ღირებული თვისებაა, მაგრამ ის მხოლოდ ჯანმრთელ ქსოვილებს იცავს და არა სიმსივნურს. ამის მიუხედავად, მისი გამოყენება მაინც შესაძლებელია კიბოს დროს, სხივური თერაპიის მავნე შედეგების შესარბილებლად. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ დიინდოლილმეტანის პრაქტიკული გამოყენება, ორ სფეროშია შესაძლებელი: სხივური თერაპიისას - პაციენტის ჯანმრთელი ქსოვილების დასაცავად და იმ ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად, რომლებიც ტექნოგენური კატასტროფის შედეგად, რადიაციული გამოსხივებით დაზარალდნენ.

გრძელი ენის პატრონებს უძილობა აწუხებთ



აშშ-ს ატლანტის კვლევითი უნივერსიტეტის - Emory მეცნიერებმა ახალი ნაშრომი წარადგინეს. ამერიკელი სწავლულების თქმით, ნებისმიერი ორგანოს ზომა ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას განსაზღვრავს. მაგალითად, გრძელი ენა იმაზე მიუთითებს, რომ ეს ადამიანი მიდრეკილია უძილობისკენ და ხშირად, სუნქთვის უკმარისობითაც იტანჯება. ამასთან, დიდი ენის პატრონები ყოველთვის ხვრინავენ. თუ დიდი ზომის ენა ან ნუშისებრი ჯირკვლები გაქვთ, ეს სერიოზული პრობლემაა. ის იჭედება პირის ღრუს უკანა მონაკვეთში და ძილის დროს, საჰაერო გზას ბლოკავს. შედეგად, მოდუნებული და მძინარე ადამიანი ხვრინვას იწყებს, - აცხადებენ მკვლევარები.

სწავლულების თქმით, დიდთეძოებიან ქალებს ტვინის ფუნქციონირება დარღვეული აქვთ. ეს განსაკუთრებით მძაფრდება მენოპაუზის დროს. ჩიკაგოელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტი 65-დან 79 წლამდე ასაკის, 9 ათასამდე ქალზე ჩაატარეს. მეხსიერების ტესტისას, ჭარბწონიანმა ქალბატონებმა ძალიან დაბალი ქულები დააგროვეს. თეორიის თანახმად, ზედმეტი წონა ტვინში სისხლის მიწოდებას ხელს უშლის. ვიწრო თეძო კი, აღმოჩნდა, რომ მხოლოდ გარეგნულადაა ლამაზი. სწავლულთა თქმით, ის გულის დაავადებებისა და ნაადრევი სიკვდილის მიზეზია. დანიელი მეცნიერები თვლიან, რომ ამ ყველაფრის მიზეზი, სხეულის ამ არეში, კუნთის სუსტი მასაა, რომელიც ინსულინის მგრძნობელობაზე ახდენს გავლენას.

აღმოჩნდა, რომ თითების სიგრძე მამაკაცებში, პროსტატის არსებობის ნიშანია. ბრიტანეთის კიბოს კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერებმა, პროსტატით დაავადებული 1 500 მამაკაცის ხელი, 3 000 ჯანმრთელი მამაკაცის ხელის აგებულებას შეადარეს და აღმოაჩინეს, რომ მათ, რომლებსაც საჩვენებელი თითი არათითზე უფრო გრძელი აქვთ, ეს დაავადება ხშირად აწუხებთ. ამასთან, ყოველთვის დეპრესიულებიც არიან. ამერიკელი ქირურგის, დევიდ ჰოული ჰან-ბურნის თქმით, თუ ადამიანს ფეხის მეორე თითი უფრო გრძელი აქვს, ვიდრე დიდი თითი, მას ხშირად აწუხებს ოსტეოქონდროზი.

ადამიანები, რომლებსაც დიდი თვალები აქვთ, ძირითადად, ახლომხედველები არიან. ოფთალმოლოგების თქმით, თუ თვალის ზომა არსებულ სტანდარტზე ერთი მილიმეტრითაც კი გრძელია, ბავშვი ახლომხედველი იბადება. რაც შეეხება გრძელ ფეხებს, სწავლულები გვარწმუნებენ, რომ ასეთ ადამიანებს დიაბეტი არასდროს აწუხებთ.

„ვიაგრას“ ალტერნატივა აღმოაჩინეს

იტალიელმა მეცნიერებმა „ვიაგრას“ ბუნებრივი ალტერნატივა იპოვეს. მათი განცხადებით, შესაძლოა, „ჩიტიწვივა“ („გორიანკა“) - კოწახურისებრთა ოჯახის წარმომადგენელი, ერექტილური დისფუნქციის სამკურნალო პრეპარატების წარმოებისთვის ნედლეულად გამოდგეს. აპენინელ სწავლულთა თქმით, ახალი წამალი ისეთივე ეფექტური იქნება, როგორც „ვიაგრაა“ და ის უფრო ნაკლებ გვერდით მოვლენებს გამოიწვევს. მილანის უნივერსიტეტის მკვლევარებმა ოთხი მცენარის თვისებები შეისწავლეს, რომელთაც აზიის ქვეყნებში, აფროდიზიაკების რანგში იყენებენ. აღმოჩნდა, რომ „ჩიტიწვივას“ კომპონენტს, სახელწოდებით - „იკარიინი“, შეუძლია იმ ფერმენტის (ფოსფოდიესტერაზ-5) ბლოკირება, რომელიც სასქესო ორგანოს სისხლით მომარაგებას აკონტროლებს. იგივე მექანიზმი - ფერმენტის ბლოკირება დევს პოპულარული „ვიაგრას“ მოქმედების საფუძველში.

იკარიინის ექსტრატთან დაკავშირებული ექსპერიმენტებისას, იტალიელმა მცნიერებმა ამ ნივთიერების მოდიფიცირებული ვერსია მიიღეს, რომელიც ეფექტურობით „ვიაგრას“ არ ჩამორჩება. ამავდროულად, ახალი „წამალი“ გაცილებით უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ცნობილი პრეპარატი. საქმე ის არის, რომ „ვიაგრას“ აქტიური კომპონენტი დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენს არა მარტო ამ ფერმენტზე, არამედ, სხვა ფოსფოდიესტერაზებზეც, რაც ფერების აღქმისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას არღვევს. ამჟამად, მეცნიერები „იკარიინის“ კლინიკურ შემოწმებას გეგმავენ. თუ ცდები წარმატებული აღმოჩნდება, ერექტილური დისფუნქციის სამკურნალოდ, ახალი საშუალება ბაზარზე, დაახლოებით, 8-10 წელიწადში გამოჩნდება.

თეთრი პური სასარგებლოა

ესპანელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ თეთრი პური ხელს უწყობს ნაწლავების „კარგი“ ბაქტერიების გამრავლებას. სწავლულები აღნიშნავენ, რომ ნაწლავის ბაქტერიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში. როცა ორგანიზმში ბაქტერიების განსაზღვრული პოპულაცია მცირდება, ადამიანი დაავადებებისადმი უფრო სუსტი და მოწყვლადი ხდება. ნაწლავების მიკროფლორის ბალანსირების შენარჩუნების ერთ-ერთი, ყველაზე უფრო ეფექტური მეთოდი დიეტაა. იმის გასარკვევად, დიეტის რომელი ინგრედიენტები უწყობენ ხელს „კარგი“ ბაქტერიების გამრავლებას, რამდენიმე კვლევა ჩატარდა. თუმცა ბევრმა მკვლევარმა, ამ მხრივ, პოლიფენოლებს ყურადღება არ მიაქცია. ესპანელმა სწავლულებმა კი აღმოაჩინეს, რომ სწორედ თეთრი პური უწყობს ხელს სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობის ზრდას.

მწვანე ჩაი სისხლის კიბოს წინააღმდეგ

მწვანე ჩაი სისხლის კიბოს ზოგიერთი სახეობის განვითარებისგან დაგვიცავს. ამისთვის, ყოველდღიურად, სულ მცირე, ხუთი ფინჯანი ჩაი უნდა მიირთვათ. უკვე დიდი ხანია, იაპონელმა სწავლულებმა იციან, რომ მწვანე ჩაი ნაადრევი სიკვდილისა და გულის დაავადებების განვითარების რისკს ამცირებს, ბოლო გამოკვლევებმა კი ამ სასარგებლო სასმელის კიდევ ერთი სასიკეთო ეფექტი დაადგინა.

9 წლის განმავლობაში, სპეციალისტები 40-დან 79 წლამდე ასაკის, ათასობით ქალსა და მამაკაცს აკვირდებოდნენ. გამოკვლევის დასაწყისში, სისხლის ან ლიმფური სისტემის კიბო არც ერთ მათგანს არ ჰქონდა. 9 წლის შემდეგ კი ექსპერიმენტის 175 მონაწილე დაავადდა ძვლის ტვინის, ლიმფური სისტემისა და სისხლის კიბოთი. როგორც აღმოჩნდა, მათ შორის არ იყვნენ ისეთები, რომლებიც ბევრ მწვანე ჩაის მირთმევდნენ.

უფრო კონკრეტულად, სისხლის კიბოს განვითარების რისკი 42%-ით ნაკლები აღმოჩნდა იმ ადამიანებში, რომლებიც ყოველდღიურად, ხუთ ფინჯან ჩაის სვამდნენ, ლიმფური სისტემის დაავადების რისკი კი მათში 48%-ით შემცირდა. ცნობილია, რომ მწვანე ჩაი მდიდარია პოლიფენოლებით, რომელთა შორისაა ძლიერი ანტიოქსიდანტები - კატეხინები. სწორედ კატეხინებს აქვთ უნიკალური თვისება, სიმსივნური უჯრედების ზრდა შეაჩერონ.

მიცვალებულები დააქორწინეს

ჩინეთის პროვინცია სანსიში მცხოვრებმა ერთმა ოჯახმა საკმაოდ დიდი თანხა გადაიხადა იმისთვის, რომ სამი წლის წინ გარდაცვლილი მათი ვაჟი, გარდაცვლილ გოგონაზე დაექორწინებინათ. ჩინეთში მიაჩნიათ, რომ თუ ადამიანი დასაოჯახებელი მოკვდება, ეს დიდი ცოდვაა, ამიტომ ასეთ ახლობლებს, უკვე გარდაცვალების შემდეგ აქორწინებენ. როტუალი, რომელსაც „სულების ქორწილს“ ეძახიან, განსაკუთრებით სოფლებშია გავრცელებული. ამჯერად, შვილმკვდარ მშობლებს ცერემონიაზე ფასიც კი დაუკლეს, რადგან მათი არჩეული „პატარძალიც“ იმავე სოციალური ფენიდან იყო, რომლიდანაც „სიძე“ გახლდათ.

ბრიტანული სამზარეულო საზიანოა

ტრადიციული ინგლისური სამზარეულო, ადამიანის ორგანიზმზე უარყოფითი გავლენის გამო, შეიძლება თამბაქოს მოწევას შევადაროთ, - ამის თაობაზე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებზე დაყრდნობით, ბრიტანული პრესა წერს. სტატიაში აღნიშნულია, რომ ბეკონი, ბურგერები და სოსისები, რაც ასე პოპულარულია ნისლიან ალბიონზე, ონკოლოგიური დაავადებების განვითარების მაპროვოცირებლებად ისევე შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სიგარეტის მოწევა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, გადამუშავებული ხორცის ეს პროდუქტები ისეთ ნივთიერებებს შეიცავენ, რომელთაც სიმსივნის გამოწვევა შეუძლიათ. დიდ ბრიტანეთში ონკოლოგიური დაავადების გამო, ყოველწლიურად, 150 ათასი ადამიანი კვდება. ყველაზე მეტად, ლეტალურ შედეგს ფილტვის კიბო იწვევს, მეორე ადგილზე კი ნაწლავების ავთვისებიანი სიმსივნეებია. ექსპერტების მოსაზრებით, ამ საშინელი დაავადებისთვის თავის არიდება სწორი კვებითაა შესაძლებელი.

სუშიც „გააცისარტყელეს“

უკანასკნელ პერიოდში, „ფასტ-ფუდის“ მთავარი ტრენდია ცისარტყელა. დიზაინერებმა და კულინარებმა შექმნეს ფერად-ფერადი ღვეზელები, ბლინები, პიცა, სენდვიჩები - ჭრელი ყველით. ახლა, სუშის ჯერიც დადგა - სოციალური ქსელები, იაპონური სამზარეულოს ამ კერძის „გაფერადებული“ ფოტოებით აჭრელდა. მომხმარებლებმა მთელი მსოფლიოდან რამდენიმე მეთოდი მოიგონეს სუშისა და როლის ცისარტყელას ფერებში შესაღებად: ბრინჯის შეღებვით, ფერადი წყალმცენარეების გამოყენებით, ფერადი ბოსტნეულისა და ზღვის პროდუქტების შერჩევით. უმაღლეს „პილოტაჟად“ ითვლება, თუკი სუშის ცისარტყელას ფერებს მხოლოდ ნატურალური პროდუქტებით მიიღებენ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.